ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 22 მაისი, 2019 №119 (8073) ფასი: 60 თეთრი

## მელია მ სააკაშვილს ულტიმატუმი წაუყენა – „მე სანდრას ჭკუაზე ვერ ვივლი“



გვ.2

## 21 მაისიდან ძმები გრიმები ზღაპრები

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი




# „კალაძეს ივანიშვილის წინააღმდეგ არც ინტელექტი ეყოფა და არც ფული“



გვ.3

დავით ჭიჭინაძე: „გახარიამ თავისი საქმიანობა გააუარესა და ამიტომაც ჩამოქვეითდა“



## მამუკა გამყრელიძე: „ჩვენ ვერ მოვახერხეთ ხალხში იმედის გაჩენა“



გვ.2

## თაკო ჩარკვიანი: „აფხაზეთიდან კრიმინალები გადმოიყვანეს და არჩევნები ტერორის ქვეშ ჩაატარეს“



გვ.4

„პერმანენტული აქციები უნდა დავიწყოთ და ხელისუფლებას საარჩევნო სისტემა დავათმობინოთ“

## „ღამის 12 საათზე სპეცოპერაცია მომიწყვეს და ჩემი მანქანა წაიყვანეს“



გვ.3

## სოსო ცინცაძე: „ევროკავშირს ფული უჭირს, რუსეთი კი ევროსაბჭოში სოლიდური გადამხდელია“



გვ.5

### სამართალი

გვ.7

„თამამი სელფი გამომიგზავნე და ყველაფერი ჩვენ შორის დარჩება“ – ბათუმელი სტუდენტი ლექტორს სექსუალურ შევიწროებაში ადანაშაულებს




ჩაწყობილი მატჩების საქმეზე დაკავებულ 11 ფეხბურთელს ბრალი წაუყენეს



რუსთავში 31 წლის ქალის გაუპატიურება სცადეს



### ეკონომიკა

გვ.6



„ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ გენდირექტორი: „ყველა მხარე არის მზად დათმობებზე წასასვლელად“



თემურ ბასილია: „ეროვნული ბანკი ვერ მოიხსნის პასუხისმგებლობას ლარის კურსთან დაკავშირებით“



15 ივნისიდან „მაგთი ფიქსი“ უქმდება

ISSN 1987-9385

5 აფხაზეთში საზოგადოებრივი დაუმორჩილებლობა გამოცხადდა

7 იაგო ნებიერიძის განაჩენი 27 მაისს გამოცხადდება

6 ირაკლი ლექვინაძე: „უკვე შეგვიძლია ბიზნესის ინტერესები საერთო სასამართლოებში მიმდინარე დავებშიც დავიცვათ“

7 გორში მაღაზია „ფაუნა“ გაძარცვეს

2019, 22 მაისი, №119

# მელიამ სააკაშვილს ულტიმატუმი წაუყენა — „მე სანდრას ჭკუაზე ვერ ვივლი“



ვიდრე „ქართული ოცნება“ ნაციონალურ მოძრაობაში არსებულ დაპირისპირებას ზეიმობს და მიხეილ სააკაშვილის პარტიის დაშლას პროგნოზირებს, „ოცნების“ პოლიტიკური ფანტაზიის მთავარი მუზა-გმირი პარტიაში პოზიციებს იმყარებს.

როგორც „2020 ნიუსისთვის“ სააკაშვილის პარტიის კულუარებიდან გახდა ცნობილი, ნიკა მელიას არც პარტიიდან რიცხავენ და არც თვითონ ტოვებს ნაციონალურ მოძრაობას.

— ნიკა მელია თეთრ ცხენზე ზის. ცოტა ხნის წინ მიშას ელაპარაკა და პირდაპირ უთხრა, თუ პოლიტსაბჭოს მდივანი მე ვარ, მაშინ მე მომეცით პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა. ახლა მე სანდრას ჭკუაზე ვერ ვივლი, საპროტესტო აქციებიც საჭიროა და შეტევაც, რისთვისაც მე მზად ვარ, მაგრამ რევოლუციას ნუ დავაანონსებთ, რადგან ეგ არ მოხდებაო, — ეს უთხრა მელიამ სააკაშვილს.

ზუგდიდში როდესაც არჩევნები დაინიშნა, ნაციონალებმა ნიკა მელიას კანდიდატურის დაყენება გადაწყვიტეს და მერე შეცვალეს — სანდრა რულოვსი დააყენეს საბოლოოდ, რის გამოც, ნიკა განაწყენდა და მიშას ახლა ისიც უთხრა, რომ მისი კანდიდატურის მოხსნა შეცდომა იყო — მე მოვიგებდი არჩევნებსო.

მიშა სააკაშვილმა უთხრა, ახლა დაპირისპირების დრო არ არის, „ოცნება“ გვყავს დასამარცხებელი და ამ საქმეში შენი როლი რომ ძალიან დიდია, ხომ იციო. ერთი სიტყვით, ნიკა მელიამ პარტიაში პოზიციები გაიმყარა, — უთხრა „2020 ნიუსს“ ინფორმირებულმა წყარომ.

სანდრა რულოვსის მიერ, ზუგდიდის არჩევნების წაგების შემდეგ რევოლუციის დაანონსება ნიკა მელიამ გააპროტესტა.

მისი განცხადების შემდეგ გამოითქვა ვარაუდი, რომ ნაციონალური მოძრაობა იშლება.

# მამუკა გამყრელიძე: „ჩვენ ვერ მოვახერხეთ ხალხში იმედის გაჩენა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი **მამუკა გამყრელიძე** პასუხობს.

***— ბატონო მამუკა, არჩევნების შემდეგ არაერთგვაროვან შეფასებებს ვისმენთ. ოპოზიცია აცხადებს, რომ ადგილი ჰქონდა მოსყიდვას, დაშინებას, ხელისუფლება კი ამაყად აცხადებს, მოსყიდვის ვერც ერთი ფაქტი ვერ დადო ოპოზიციამო. რის საფუძველზე აცხადებთ ამას თუ ფაქტები არ გაქვთ?***

— გაყალბება უბნებზე იყო ძალიან ნაკლებად. დაცული იყო უბნები ძალიან კარგად. შესაბამისად, გაყალბება არც მომხდარა. გაყალბება მოხდა არჩევნებამდე ბევრად ადრე. მოხდა ხალხის მოსყიდვა, ჩვენ ვიცოდით, რომ ეს ასეც იქნებოდა, რომ დაიხარჯებოდა ძალიან ბევრი ფული. 100-150 ლარს აძლევდნენ ადამიანებს იმისთვის, რომ პასპორტი მიეცათ არჩევნების დღეს და უბრალოდ არ მისულიყვნენ არჩევნებზე. ჩვენი მომხრეები ძალიან ბევრი არ მოვიდა, ან თუ მოვიდა, მათ ხმა მისცეს ჩვენს საწინააღმდეგოდ. მოკლედ, გაიყიდა ხალხი.

***— თქვენი მომხრეებიც გაიყიდნენ?***

— ასე გამოვიდა. ზოგადად ძალიან ბევრი ხალხი გაიყიდა. იყო ძალიან ბევრი შემთხვევა დაშინების. მომხრეები არ ჰქვიათ ამათ, ძირითადად გაიყიდა ის ხალხი, ვისაც ნეიტრალური პოზიცია ეჭირა. ფული აიღეს და უბრალოდ არ მივიდნენ არჩევნებზე. ბევრიც დააშინეს. განსაკუთრებით კი ისინი, ვინც საჯარო მოხელეები არიან, საბიუჯეტო მოხელეები არიან. ძალიან ბევრი დააშინეს იმ კრიმინალებმა, რომლებიც ვიღაცის გამოყრილები იყვნენ ქუჩაში და ამ ყველაფერს ხელმძღვანელობდა პოლიცია.

***— პოლიცია?***

— დიახ, კრიმინალური პოლიციის მთელი შემადგენლობა იყო ჩამოსული. დაფიქსირდა მათი მანქანები, სახელები, გვარები, ხომ ვცნობთ, არა. ჩვენ რა უნდა გაგვეკეთებინა, რანაირად შეიძლება, მოსყიდვის პრევენცია მოახდინო? აიღებს ფულს და უბრალოდ არ მოვა არჩევნებზე. ან მოვა და მისცემს ხმას ხელისუფლებას. რა უნდა გააკეთო, შენც უნდა მოისყიდო, ამის გაკეთება ხომ შეუძლებელია, თან არ შეიძლება. დაშინების პრევენცია რაღაცნაირად შესაძლებელია, როცა დიდ ძალას აჩვენებ, მაგრამ ოპოზიციას ამხელა ძალა ნამდვილად არ აქვს. შესაბამისად, რჩება ერთი გზა.

***— რომელი გზა?***

— ხალხში ისეთი მუხტის შექმნა, რომ ხალხს შერცხვეს გაყიდვის, არც შეეშინდეს და მასობრივად მოვიდეს არჩევნებზე.

***— მაგრამ ოპოზიცია ამ მუხტს ვერ ქმნის ჯერჯერობით.***

— უნდა ითქვას სიმართლე, რომ ჩვენ ამას ვერ ვახერხებთ. ვერც სააკაშვილი ახერხებს გარედან, ვერც შიგნიდან ახერხებს ვერავინ ამის გაკეთებას. ვერც გაერთიანებულმა ოპოზიციამ მოახდინა, ვერც იმან, რომ გაერთიანებულ ოპოზიციას შემოუერთდნენ სხვა პარტიები. ლაპარაკია „ევროპულ საქართველოზე“, რესპუბლიკელებზე, რომლებიც ჩვენს გაერთიანებაში არ შემოსულან, მაგრამ გვერდში დაგვიდგნენ.

***— რა იქნება 2020-ის არჩევნებზე?***

**ხმებს რომ ყიდიან და ფულს რომ იღებენ, ეს არის ღირსების დაკარგვა. პოლიტიკოსები კი იმას ვერ ახერხებენ, რომ ეს აუხსნან ამ ხალხს. ამ თვალსაზრისით პოლიტიკოსებიც უუნაროები არიან.**

— საპარლამენტო არჩევნებზეც იგივე მოხდება. არ იქნება ის სამართლიანი არჩევნები, ეს არის გამორიცხული! ეს მთავრობა არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს სამართლიან არჩევნებს და რჩება რა? ხალხში უნდა გაჩნდეს მუხტი, რომ ხალხმა თავად დაიცვას საკუთარი ხმები. არ გაიყიდონ, არ შეშინდნენ და თუ გაყალბება მოხდება, გამოვიდნენ ქუჩაში და მოითხოვონ კატეგორიულად, რომ ჩატარდეს სამართლიანი არჩევნები.



მე იმას კი არ ვამბობ, რომ რევოლუცია მოახდინონ და ქვებით უჩეჩქვონ ერთმანეთს თავები. არა! უბრალოდ, მშვიდობიანი პროტესტი, ქუჩაში გამოსვლა და თქმა იმისა, რომ თქვენ გააყალბეთ არჩევნები! ეს არის ერთადერთი გამოსავალი, სხვა გამოსავალი რეალურად არ არსებობს და ვინც ამ მუხტს შექმნის, ის იქნება გამარჯვებული! ეს იქნება სააკაშვილი, ნათელაშვილი თუ დავით ბერძენიშვილი, ვინც გინდათ, ის.

***— საუბარი იყო, რომ ლევან ვასაძე აპირებდა მესამე ძალის შექმნას, მაგრამ საერთოდ დაიკარგა, აღარ ჩანს, გადაიფიქრა პოლიტიკაში მოსვლა?***

— როგორც ჩანს, დაინახეს, რომ ამის საჭიროება არ არის. ეგ ადამიანიც ხომ სპოილერი იყო. როგორც ჩანს, ხალხის მოსყიდვა უფრო იაფი უჯდებათ, ვიდრე ახალი პოლიტიკური ძალის შექმნა. სუფთა ბუღალტერია მიდის, გადათვალეს და მიხვდნენ, რომ ასე უფრო მომგებიანი იყო. სამარცხვინოა, რომ ქვეყანაში არჩევნები და პოლიტიკური პროცესები ბუღალტრულ დონეზეა დაყვანილი.

***— ოპოზიციასა და ახალ სახეებზეა ყველაფერი დამოკიდებულიო. ბოკერია არ გამორიცხავს, რომ ალასანია და უსუფაშვილი მისი მოკავშირეები იქნებიან. არსებობს მოსაზრება, რომ ოქრუაშვილიც გამოჩნდება და შეიძლება ყველა ერთ ჯგუფად გაერთიანდნენ? ამაზე რას იტყვით, რამდენად იქნება წარმატების მომტანი ეს ერთობა?***

— მე როგორც ვიცი, ოქრუაშვილი აკეთებს ამას. ირაკლი ოქრუაშვილი სუპერ აქტიური ადამიანია, მაგრამ რას იზამს, არ ვიცი. მოლოდინი არსებობს. მოდით ერთი რამე ვთქვათ, რომ ვინც მონაწილეობდა ამ პროცესში და ვინც თქვენ ჩამოთვალეთ, ყველა ეს ძველი სახეები არიან. მობეზრებას არ ვიტყვი, მაგრამ ხალხში უნდობლობა გაჩნდა ამ ადამიანების მიმართ, უნდობლობა იმისა, რომ ამ ადამიანებს შეუძლიათ ბოლომდე მიყვნენ პროცესს.

***— დიდი დრო გავიდა, მაგრამ მაინც მუშაობს ის 9 წელი, ნაციონალური მოძრაობა და სისხლიანი რეჟიმი. სააკაშვილის მეუღლეა სანდრა რულოვსი და იყო მსგავსი შეფასებები. კანდიდატის შერჩევისას ხომ არ შეცდით?***

— არა მგონია. მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო. მე სანდრას არ მივცემ ხმას და წავალ და 150 ლარს ავიღებ, აი ამან იმუშავა და ეს დიდი სირცხვილია. რა შუაშია აქ მიშას ცოლი. ეს არის საბაბი. ზოგს სანდრა არ მოეწონებოდა ზოგს ნიკა მელია, იმიტომ, რომ ხმაურიანიაო ან იტყოდნენ, თავზე თმა არა აქვსო, ეს თითიდან გამოწოვილი მიზეზებია. ეს არის საბაბი და არავითარ შემთხვევაში მიზეზი. ხმებს რომ ყიდიან და ფულს რომ იღებენ, ეს არის ღირსების დაკარგვა. პოლიტიკოსები კი იმას ვერ ახერხებენ, რომ ეს აუხსნან ამ ხალხს. ამ თვალსაზრისით პოლიტიკოსებიც უუნაროები არიან.

***— ოპოზიციაზე ამბობთ?***

— დიახ. ჩვენ ვერ ვაჩვენეთ ხალხს ის პერსპექტივა, რაც შეიძლება რომ მოვიტანოთ. ჩვენ ვერ ვაჩვენებთ ხალხს უკეთეს მომავალს. ჩვენ ვერ ვუმტკიცებთ მათ, რომ ჩვენ თუ მოვედით, უკეთესი მომავალი იქნება. აი, ეს არის პრობლემა!

***— ხალხიც ფიქრობს, რომ შეჩვეული ჭირი ურჩევნია?***



— დიახ. დღევანდელი 150 ლარი ურჩევნია და ხვალ მე რას გავუკეთებ, ეს არ აინტერესებს, იმიტომ, რომ ვერ დავაინტერესეთ.

***— ნიკა მელია ახსენეთ და ბოლო დღეებია, ნაციონალური მოძრაობიდან მის წასვლაზე მიდის საუბარი. წავა?***

— არ ვიცი. ნიკა ემოციური ადამიანია, ამიტომ არ ვიცი, როგორ მოიქცევა. ჩემი აზრით, ეს ემოციებია და გაივლის. ერთმანეთზე გადაბრალებას აზრი არა აქვს, იმიტომ, რომ ჩვენი პრობლემა არის ერთი მხრივ ბიძინა ივანიშვილი, რომელიც მაქსიმალურად ხრწნის ჩვენს მოსახლეობას ფულით, დაშინებით და სხვადასხვა მოქმედებით და მეორე, ეს არის ჩვენი საკუთარი თავი, რომ ჩვენ ვერ მოვახერხეთ ამ ხალხში იმედის გაჩენა.

ეს სისტემა, ეს დაშინების, მოსყიდვის და ქუჩის კოორდინატორების, „ქართული ოცნების“ შექმნილი არ არის! ეს წინა წლებში შეიქმნა, კოორდინატორები, რომლებიც მიდიან და ფულს ურიგებენ ხალხს. ეს იყო ნაციონალების დროს და ამაზე ნუ დავხუჭავთ თვალს.

***— სერიოზული მუშაობა დასჭირდება ოპოზიციას 2020-ისთვის, რომ რაღაც შეცვალოს?***

— ხალხს პირველ რიგში უნდა ვაჩვენოთ და ავუხსნათ, რომ ჩვენ რომ მოვალთ, იქნება სამართლიანი არჩევნები მომავალში, რომ არ იქნება პოლიტიკური წნეხი, რომ სოციალურად ადამიანებს ექნებათ შესაძლებლობა, უკეთესად იცხოვრონ.

აი, ამას თუ დავანახებთ ხალხს, რომ ჩვენ მათ გავათავისუფლებთ წნეხისგან, მაშინ მოგვცემენ ხმას.

თუ ჩვენ ამაში ვერ დავაჯერეთ, მაშინ ეს, ერთი მხრივ, ჩვენი ბრალიც არის და ამ ხალხისაც, რომლებსაც ურჩევნიათ ასეთ ჭაობში ცხოვრება. მე არავის არ ვადანაშაულებ, მოდით, ყველამ ჩვენ ჩვენს გულებში და ჩვენს გონებაში ჩავიხედოთ!

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე — შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური — 2-94-02-55
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი — ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „კალაძეს ივანიშვილის წინააღმდეგ არც ინტელექტი ეყოფა და არც ფული“

## დავით ჭიჭინაძე: „გახარიამ თავისი საქმიანობა გააუარესა და ამიტომაც ჩამოქვეითდა“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი **დავით ჭიჭინაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო დავით, ენდიაის კვლევით, პოლიტიკოსთა რეიტინგში პირველ ადგილს კახა კალაძე და დავით სერგეენკო იკავებენ. თქვენ რითი ხსნით მათ ლიდერობას?***

– კახა კალაძე „ქართული ოცნების“ გენერალური მდივანია, თბილისის მერია. თბილისში ყველაზე მეტი ამომრჩეველია. შესაბამისად, ცნობადობაც მაღალი აქვს. ადამიანებთან შემხებლობაც მეტი აქვს. დანარჩენები, არც მინისტრები არც „ოცნების“ ლიდერები, ხომ ხედავთ, არ ჩანან.

რაც შეეხება დავით სერგეენკოს, სრულიად გასაგებია, რატომაც. პიროვნულად ძალიან კარგი ადამიანია. პრინციპული ადამიანია, მას თავისი შეხედულებები აქვს და ამ შეხედულებებს მიჰყვება. მის უწყებაში, რაც არ უნდა თქვა, რეფორმაც მოხდა და ყველაზე ხელშესახები არის საყოველთაო ჯანდაცვა. ამიტომაც არის, რომ როდესაც პოლიტიკური თვალსაზრისით კრიტიკული მომენტი დგება, ხალხს მაინც უფრო მეტი ნდობა „ქართული ოცნების“ მიმართ აქვს, ვიდრე ნაციონალური მოძრაობის მიმართ. ადამიანებს ავადმყოფობის გამო სახლის გაყიდვა არ უწევთ ან მევახშეებთან მთელი ცხოვრება ურთიერთობა. მართალია, სამედიცინო ბიზნესში ძალიან ბევრი ლაქა და შავი ხვრელია, მაგრამ ამას მხოლოდ ერთი სერგეენკო ვერ მოერევა. ზოგადად ქვეყანაში პოლიტიკაა შესაცვლელი.

***– წინა გამოკითხვებში გიორგი გახარია ლიდერობდა. რატომ გადაინაცვლა უკანა პლანზე?***

– მითხარით, შინაგან საქმეთა სამინისტრო როგორ შეიძლება პოპულარული იყოს, როდესაც ქვეყანაში კრიმინალი მძვინვარებს?! გახარიამ თავისი საქმიანობა გააუარესა და ამიტომაც ჩამოქვეითდა. ძალიან მარტივია ახსნა. ყოველდღე ქურდობა, დაყაჩაღება და ამ ფონზე, როგორ შეიძლება გახარია პოპულარული იყოს?! ხომ ხედავთ, მხოლოდ სტატისტიკის გამოქვეყნება არ აღმოჩნდა საკმარისი, მოქმედებაა საჭირო.



***– კალაძეზე შეიძლება ივანიშვილმა იეჭვიანოს?***

– ვერ გეტყვით.

***– რამდენად შეიძლება, კალაძე დამოუკიდებელი მოთამაშე გახდეს? თითქოს ემზადება კიდეც ამისთვის, მისი განცხადებები მთლად პარტიულ ხაზს არ მიჰყვება.***

– ვერ გეტყვით, რომ კალაძეს ამბიცია არ აქვს. ამბიცია აქვს, მაგრამ გაუჭირდება იქიდან გამომდინარე, რომ იმდენი პოლიტიკური ინტელექტი არ ყოფნის და არც იმდენი ფული აქვს, რომ ბიძინა ივანიშვილს ასე ღიად დაუპირისპირდეს.

რა თქმა უნდა, ამბიცია აქვს, მაგრამ ის უპირატესობა, რაც მას უნდა გააჩნდეს ივანიშვილთან შედარებით, თუ ამ გადაწყვეტილებას მიიღებს, არც ერთ ასპექტში არ აქვს. არც იმდენი ინტელექტი აქვს და არც ფული. თან, მისი ფულის წარმოშობა ბევრად უფრო ბუნდოვანია, ვიდრე ივანიშვილის. მე ფეხბურთელობით მიღებულ ფულს არ ვგულისხმობ.

***– აბა, რომელ ფულს გულისხმობთ?***

– ბიზნესიდან, უფრო კონკრეტულად კი, ენერგეტიკიდან. ძალიან ბევრი კითხვა არსებობს, სწორედ მისი მინისტრობის დროს გაჩნდა ძალიან ბევრი ტრანზიტული კომპანია ენერგეტიკაში. ენერგოსექტორში ბევრი შუამავალი კომპანიაა. თუ ასეთი გულანთებული პატრიოტია და ძალიან უყვარს ეს ქვეყანა, მაშინ გამოვიდეს და ღიად ილაპარაკოს სიმართლე, რადგან მან ყველაზე კარგად იცის, რაც ხდება ენერგეტიკის სფეროში. რა, არ იცის რისთვის მოვიდა თურნავა, რას შეეწირა ქობულია?!

***– რისთვის მოვიდა თურნავა?***

– თუ კიდევ რამე მნიშვნელოვანი ენერგეტიკული კომპანია არის დარჩენილი, ამის პრივატიზება მოახდინოს თავისი კონკრეტული ჯგუფისთვის, რომელიც მას ყოველთვის ქაჩავს სხვადასხვა თანამდებობაზე. ჩხარტიშვილს ვგულისხმობ, პირველ რიგში.

გიორგი ქობულია ბაქოში ჩავიდა, რომ აზერბაიჯანულ კომპანიებთან მოლაპარაკებები გაემართა. სწორედ ამ ვიზიტის შემდეგ დაიწყო ქობულიას გაშვებაზე ფიქრი. თუ იმასაც დავაკვირდებით, ქობულიას ვიზიტის შემდეგ რომელი ბიზნესმენები გაფრინდნენ ბაქოში, ყველაფერი ნათელი გახდება, ისე, რომ მინიშნებაც აღარ იქნება საჭირო.

***– რომელ ბიზნესმენებზე საუბრობთ?***

– ენერგეტიკით დაინტერესებულ ბიზნესმენებზე, მათი სია დიდია. ვინმე რომ არ გამომრჩეს, ჟურნალისტებს არ გაგიჭირდებათ, აეროპორტს მიმართოთ და სია გამოითხოვოთ, თუ ვინ გაფრინდა მაშინ თბილისიდან ბაქოში.

***– ბატონო დავით, უფრო კონკრეტულად რომ გვითხრათ?***

– ეკონომიკის ყოფილმა მინისტრმა პირდაპირ თქვა, რომ არის კორუფცია, არ არის ეფექტური გადაწყვეტილებები და არსებობენ შუამავალი ფირმები, რომლებიც მეტ სარგებელს ნახულობენ, ვიდრე სახელმწიფო. ამის გამო სახელმწიფოს არ აქვს იმდენი ეკონომიკური მოგება, რამდენიც უნდა ჰქონდეს. როგორც ჩანს, მან წურბელების მოშორება გადაწყვიტა, მაგრამ თვითონ მოიშორეს.

ქობულიამ თქვა, რომ ჩავიხედე, რაც ხდებოდა, თუ ადრე ვამბობდი, რომ ეკონომიკის გაზრდა შეიძლება 7%-მდე, ახლა ვამბობ, რომ შეიძლება 9%-მდეც გაიზარდოს, თუ სწორად დავალაგებთ ყველაფერსო, მაგრამ, სამწუხაროდ, სწორად დალაგების უფლება არ მისცეს. ამ ყველაფერს უნდა გაეცეს პასუხები ხელისუფლების მხრიდან.



***– ქობულიასთან პოლიტიკაში დარჩენის შესახებ ხომ არ გისაუბრიათ?***

– ნამდვილად არ მისაუბრია. თუმცა, თუ ბევრი პატიოსანი და კეთილსინდისიერი პოლიტიკოსი გვეყოლება, ჩვენს ქვეყანას გამოადგება. ვინც არ უნდა იყოს, ეს იქნება ქობულია თუ სხვა ნებისმიერი ადამიანი, თუ პატიოსანი იქნება და ხალხის მსახურების სურვილი ექნება და არა პირიქით, მაშინ ხალხის ძალიან დიდ მხარდაჭერას მიიღებს.

***– კალაძემ შეიძლება 2020 წლისთვის დამოუკიდებლად გადაწყვიტოს მოქმედება თუ მაინც ვერ გაბედავს?***

– კალაძე მცველია, არასდროს ყოფილა თავდამსხმელი. ის პოლიტიკაშიც მცველია. ამიტომ, ვერ იქნება თავდამსხმელი. არავის არ გამოეყოფა, ამისთვის გამბედაობა არ ეყოფა.

# „ღამის 12 საათზე სპეცოპერაცია მომიწყვეს და ჩემი მანქანა წაიყვანეს“

## რას აბრალებს მამუკა ტუსკაძე თეა წულუკიანს

გულიკო ბალაძე

რატომ უპირისპირდება ადვოკატი და პოლიტიკური მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის“ დამფუძნებელი მამუკა ტუსკაძე იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს? რატომ დაუყადაღა მამუკა ტუსკაძემ თეა წულუკიანს და პაპუნა უგრეხელიძეს ქონებები, ამის შესახებ მასთან ინტერვიუდან შეიტყობთ.

**მამუკა ტუსკაძე:**

– საქართველოში საფინანსო ბაზარზე არსებობს რთული მდგომარეობა, კერძოდ, ლიზინგის მიმართულებით, რომელსაც, მაგალითად, შპს „მოგო“, (ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული კომპანია) ახორციელებს. შპს „მოგო“ დაკავებულია საქართველოში მოქალაქეების ტერორით, გაკოტრება-გაკულაკებით, იმ საქმიანობით, რაც მევახშეების წესი და თვისებაა.

***– ამგვარი განცხადების რა საფუძველი გაქვთ?***

– პირადი გამოცდილება. უკვე ორი წელია, „მოგოდან“ აყვანილი მყავს მანქანა. გადავიხადე აღებული კრედიტის ნახევარზე მეტი, თუმცა, პროცენტის პროცენტი, შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოები, ჯარიმები დამაწერეს.

სამი თვის წინ შპს „მოგომ“ მიიღო ჩემთვის მანქანის ჩამორთმევის გადაწყვეტილება.

მიუხედავად იმისა, საჯარო სივრცეში მუდმივად ადვილად მისაწვდომი ადამიანი ვარ, სამი თვეში არ ჩამაბარეს განჩინება, რომ გამესაჩივრებინა, დამეცვა თავი და დამეფიქსირებინა, მათი მხრიდან კატასტროფულად მაღალი თანხის მოთხოვნა სწორი იყო თუ არა.

***– მიზეზი რა იყო?***

– ჩემი პოლიტიკური და სამოქალაქო აქტიურობა. დავარეგისტრირე პოლიტიკური ორგანიზაცია „სოციალური სამართლიანობისთვის“.

აღსრულების პროცედურა ტარდება დღის საათებში. მანამდე უწყებამ უნდა მომმართოს, აღსრულების ფურცელი უნდა ჩავიბარო. შემდეგ შეგიძლია გაასაჩივრო. სასამართლო პროცესები იქნება, თუკი ადამიანი ფიქრობს, რომ იმდენის გადახდა არ არ არის სწორი, რამდენსაც ბანკი თუ კომპანია მოითხოვს, რაც არ მომხდარა.

მიუხედავად ამისა, 20 მაისს საღამოს 12 საათზე, ჩემს პირად საკუთრებაში შემოიჭრნენ „მოგოს“ აღმასრულებლები, აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენლები, 112 და საპატრულო პოლიციის გლდანის რაიონული განყოფილების თანამშრომლები, მძინარე ოჯახი გაგვაღვიძეს.

ძალიან დაძაბული სიტუაცია იყო. შეიძლებოდა პროვოკაცია მომხდარიყო. მათ შორის, ფიზიკური შეხების სახითაც. ღამის 12 საათზე დაიწყეს აღსრულება, თითქოსდა ეს მანქანა ან სადმე გადამალული მყავდა, ან ამ მანქანით რაიმე დანაშაული იყო ჩადენილი. დამნაშავისა და საშიში კრიმინალის აყვანა რომ ხდება ხოლმე, დაახლოებით ისეთი სპეცოპერაცია მომიწყვეს და წაიყვანეს ჩემს საკუთრებაში არსებული მანქანა, რასაც ჩემს სამოქალაქო და პოლიტიკურ აქტიურობას ვუკავშირებ.



***– რა აქტიურობაზე საუბრობთ, რასაც შეეძლო გაეღიზიანებინა ისინი?***

– მე ვიყავი მთაწმინდაზე პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი. დავაფუძნე პოლიტიკური მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის“, დამფუძნებელი ყრილობა ჩავატარე 14 მაისს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში. შესაბამისად, გუშინ, დღის პირველ ნახევარში, იუსტიციის სამინისტროში დოკუმენტები შევიტანე პოლიტიკური ორგანიზაციის დასარეგისტრირებლად, რათა გვქონდეს დამოუკიდებლად საქმის წარმოების უფლება და საშუალება.

როგორც კი 5-6 საათისთვის იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანისთვის ცნობილი გახდა, რომ მე „სოციალური სამართლიანობისთვის“ დასარეგისტრირებლად დოკუმენტები შევიტანე, ეს ბოლო წვეთი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ჩემ წინააღმდეგ მოქმედება დაეწყოთ.

მე დიდი ქონების მფლობელი არ ვარ და მაქვს გარკვეული ფინანსური დავალიანება, რასაც სამართლებრივად ვარეგულირებ. თუმცა, იუსტიციის მინისტრმა 20 მაისის ღამითვე მომისია აღსრულების პოლიცია, საპატრულო პოლიცია და ღამის 12 საათზე დაიწყეს იმ საქმის აღსრულება, რომელიც შეიძლებოდა დღისით, ნებისმიერ სამუშაო საათებში. მანქანა არ იყო დამალული.

მათ უნდოდათ, ჩემთვის ნერვებს ეღალატა, ვინმეს ხელით შევხებოდი, გლდანის საპატრულო პოლიციის უფროსი მემუქრებოდა, იძულებული გახდებოდა ძალით ჩამოვეყვანე მანქანიდან. ღამის 12 საათზე მე გავაკეთე აქცია – ჩავერთე ფეისბუქის პირდაპირ ეთერში, რომელსაც 11 ათასი ადამიანი უყურებდა. მე მანქანაში ვიჯექი. მანქანიდან არ ჩამოვდიოდი.

ვითხოვდი სასამართლო გადაწყვეტილებას და კანონითა და კონსტიტუციით მონიჭებული ჩემი უფლებების რეალიზებას, მაგრამ მათთვის ჩემი უფლებები ჩირადაც არ ღირდა. როგორც ადრე, სახელმწიფომ დღესაც იგივენაირად დაარღვია ჩემი უფლებები. ამ ხელისუფლებას დიქტატურა ურჩევნია ყველაფერს.

***– თეა წულუკიანი ასე უაპელაციოდ როგორ მოგისევდათ პოლიციას და აღმასრულებლებს?***

– უაპელაციოდ – არა, შპს „მოგოსა“ და ჩემ შორის მიმდინარეობდა გარკვეული პრობლემების მოგვარების პროცესი. თანხა მთლიანად გადახდილი მაქვს. დარჩენილი იყო 700 ლარამდე ზედმეტად დაწერილი პროცენტები, რომელიც იყო, ან არ იყო გადასახადი. მე ვთვლიდი, რომ აღნიშნული თანხა გადასახდელი არ მქონდა, „მოგო“ თვლიდა, რომ გადასახდელი მქონდა.

ამის გამო სამი თვის წინ „მოგოს“ სასამართლოში საჩივარი შეუტანია. სასამართლოს მიუღია გადაწყვეტილება, რომელიც აღსრულების ბიურომ არ აღასრულა, რადგან თვლის, რომ 700 ლარის გულისთვის, აღსრულების ბიურო ადამიანებს არ ამწარებს. მარტო ამწარებს მამუკა ტუსკაძეს. 7 ლარის დავალიანებაც რომ ყოფილიყო, აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენლები ღამის 12 საათზე მოვიდოდნენ.

რაც სააკაშვილის დროს ხდებოდა, დაახლოებით იგივე სცენარი იყო 20 მაისს, ღამის 12 საათზე ჩემს ეზოში, თითქოს მე ძებნილი ვიყავი და მართლმსაჯულებას ვემალებოდი.

მინდა ღიად განვაცხადო, რომ ჩემი პოლიტიკური საქმიანობის პირველივე დღეს, 20 მაისს პირველი დღე იყო, 20 მაისს პირველად დარეგისტრირდა ჩემი პოლიტიკური მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის“.

***– 20 მაისს შეიტანეთ დოკუმენტები და იმ დღესვე უკვე დარეგისტრირდა?***

– 20 მაისს ჩავაბარე დოკუმენტების სრული პაკეტი სარეგისტრაციოდ და გუშინ გახდა ცნობილი იუსტიციის მინისტრისთვის ჩემ მიერ პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნის შესახებ. მისი აზრით, სუსტი წერტილი მონახა – წინასწარი გაფრთხილების გარეშე, 3 თვის წინ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება

**გაგრძელება მე-4 გვერდზე**

# თაკო ჩარკვიანი: „აფხაზეთიდან კრიმინალები გადმოიყვანეს და არჩევნები ტერორის ქვეშ ჩაატარეს“

## „პერმანენტული აქციები უნდა დავიწყოთ და ხელისუფლებას საარჩევნო სისტემა დავათმობინოთ“

იაგო ნაცვლიშვილი

გაერთიანებული ოპოზიცია შუალედური არჩევნების შედეგებს არ აღიარებს და პერმანენტული აქციებისთვის ემზადება. იქნება თუ არა რევოლუციური სცენარი და განიხილება თუ არა ხელისუფლების შეცვლისთვის ეს გზა, ეს არის მთავარი კითხვა, რაზეც გაერთიანებულ ოპოზიციაში პოზიციები შეჯერებული ჯერ არ არის და კონსულტაციები მიმდინარეობს.

აღნიშნულ საკითხებსა და ჩატარებული არჩევნების შესახებ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენელი, პარტიის „კანონი და სამართლის“ დამფუძნებელი **თაკო ჩარკვიანი** საუბრობს.

***– შეაფასეთ არჩევნები და ასევე ისიც გვითხარით, რას აპირებთ ოპოზიცია?***

– ძალიან უსიამოვნო განწყობა მაქვს. აქ საუბარი არ არის წაგება-მოგებაზე, ბევრად უფრო რთული რამე დავინახე, რისიც ძალიან მეშინია და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ეს არ განხორციელდეს.

***– რა გაქვთ მხედველობაში?***

– ეს არის ის, რომ ფიქციად არ იქცეს საქართველოში არჩევნები. ამაზე დიდი დარტყმა სახელმწიფოებრივად ქვეყანას არც კი შეიძლება მიაყენო, რაც კი შეიძლება მოხდეს. მე გეუბნებით ხალხის განწყობას. აქ ლაპარაკი იმაზე, რომ ვინ გაიმარჯვა და ვინ წააგო, აღარ არის. ეს იყო 300 პირადობის მოწმობის გატანა სოფლიდან. თქვენ ხომ გესმით, რაზეც არის საუბარი. დასკვნა აქედან ორია – ან გამოიყენო ეს პირადობები, ან არ წავიდეს ეს ხალხი არჩევნებზე. 150 და 200 ლარი ღირდა პირადობა სხვადასხვა ადგილზე.

***– ანუ არჩევნების დღემდე დაიწყეს გაყალბება, ამას ამბობთ?***

– აბა რა, ვიდეოკამერებზეა ჩანაწერები. დაშინებულია ადამიანები და მათ ეუბნებოდნენ თუ ვინმეს პატიმარი ჰყავდა, უკეთეს პირობებში ამყოფებდნენ ციხეში, გამოსულებს კი ემუქრებოდნენ, რომ უკან შეგაბრუნებთო. შეიძლება ამას სახელისუფლებო გუნდი არ აანალიზებს, მაგრამ გუნდის გარშემო ხომ არიან ადამიანები, ვისაც ელემენტარული გონიერება შერჩათ, თქვან, რომ არ შეიძლება სახელმწიფოს ასეთი რამე გაუკეთო?!

მოგვწონდა თუ არა ყოფილი ხელისუფლება, მოვახერხეთ, რომ არჩევნები ჩატარებულიყო და არჩევნების გზით გაგვეშვა. 7 ნოემბერსაც გადადგა სააკაშვილი, რასაც იმედის მარცვალი ახლდა, გარედან რომ შეხედო პროცესს, თუნდაც ევროპული გადმოსახედიდან. იმის გამო გადადგა პრეზიდენტი, რომ 7 ნოემბერს მოხდა ცრემლსადენი გაზის გაშვება და აქციის მონაწილეების დარბევა. 2012 წელს კი არჩევნების გზით წავიდა.

***– არჩევნებამდე იყო გაყალბებაო, ამბობთ და ამით უნდა ავხსნათ ისიც, რომ ზუგდიდში პარალელური დათვლითაც დაახლოებით იგივე შედეგი ჰქონდა სანდრა რულოვსს, რაც ცესკომ დაწერა?***



– ორივე იყო ერთად. იმ დღესაც, მაგალითად, კონვერტი იდო უბანზე და 1 წამში კონვერტი გაქრა. უბნებზე ძალიან დიდი სიცხე იყო, ახლა რომ ვაკვირდებით, ეს იყო განზრახ გაკეთებული, რათა კომისიის წევრები გარეთ გამოსულიყვნენ დროდადრო. გარეთ წარმოუდგენელი რაღაცები ხდებოდა, გარიგებები და გადაცემები. ეს არის ის, რაც გადაღებული გვაქვს იდენტიფიცირებული სახეებით.

ახლა ვაჯერებთ პოზიციებს. მე იმ ფრთას მივეკუთვნები, რომელიც ამბობს, რომ აქციები დავიწყოთ. რევოლუცია არ არის საჭირო, ისეც შეიძლება აქციების გაკეთება. ეს დემოკრატიული ფორმაა, რომ დისკომფორტი შევუქმნათ ხელისუფლებას, რათა საარჩევნო სისტემა ნორმალური იყოს.

***– ანუ თქვენ არა რევოლუციაზე მუშაობთ, არამედ იმაზე, რომ საარჩევნო სისტემა შეიცვალოს?***

– აუცილებლად. მაგრამ თუ დისკომფორტი არ შევუქმენით გარე აქციებით ხელისუფლებას, არაფერი არ შეიცვლება. მუდმივი აქციები იქნება თუ სხვა ფორმები, ეს უკვე მოლაპარაკების თემაა. აქციები რომ საჭიროა, ამაზე ორი აზრი არ არსებობს.

ბრეჟნევის დროს ხომ ტარდებოდა არჩევნები? ასეთი არჩევნები ჩაატარა „ოცნებამ“.

***– თქვენ თუ ეთანხმებით მელიას პოზიციას, რომელმაც გააკრიტიკა ოპოზიციის ლიდერები იმაზე, რომ ხალხს რევოლუციას ჰპირდებით, რაც არ ჩანს და ეს მხარდამჭერებში იმედგაცრუებას იწვევსო?***

– გპირდებით რევოლუციას და არ ჩანს, ეს ასე არ არის. მე მგონი, ნიკა მელიაც და ყველანი ჩვენ ერთნაირად ვიყავით გაღიზიანებულები იმ დღეს. იმ დღის ემოციით არ ვაფასებ არავის განცხადებას. იმიტომ, რომ ეს იყო სამომავლო კატასტროფა, რომელიც ყველამ დავინახეთ. გამომწვევი ზეიმი არც „ქართული ოცნებიდან“ შეინიშნებოდა. იმიტომ, რომ ხალხი გამოსვლებს და ხმების დაცვას ითხოვდა, რაც ძალიან მძიმე ვითარება იყო. ამიტომ, იმ დღით მე ვერ ვიმსჯელებ.

რევოლუციას ვინ ვის ჰპირდებოდა?! კი არ ვაგვიანებთ გამოსვლებს. მე 2 კვირით ადრე ბრიფინგიც გავმართე და ვთქვი, რომ ხმები უნდა დავიცვათ-მეთქი. თუ ამას არ ვაკეთებთ, ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ სახელმწიფოებრივად ვუფრთხილდებით გაწვალებულ ხალხს. ბოლომდე აძლევ შანსს ხელისუფლებას თუ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და არაპოპულისტი ხარ. ჩემგან შორს არის პოპულიზმი და პარტიული კარიერისტული რაღაცები. ახლა ხალხი ველარ გვეტყვის, რომ პოპულისტურად მოვიქეცით, ჩვენ არ დავაჩქარეთ აქციები, მეტა რა უნდა გვექნა?!

***– სააკაშვილის განცხადებები ხომ არ აზიანებს პროცესს, რომელიც მუდმივად იქადნება, რომ ჩამოვა, მაგრამ არ ჩამოდის?***

– შეიძლება ასეც იყო, შეიძლება ემოციური იყოს მისი განცხადებები, შეიძლება ღიზიანდება თვითონ. არავის ეგონოს, რომ როცა ოპოზიციურ გაერთიანებაში ვწევრიანდებოდი და გრიგოლ ვაშაძეს შევუერთდი, ოდნავ მაინც დამავიწყდა ის დანაშაულებრივი ქმედებები, რაც წინა ხელისუფლების დროს იყო ჩადენილი.

ვაშაძემ თვითონ იტვირთა საკმაოდ დიდი ტვირთი, ნაცმოძრაობაში 2016 წელს გაწევრიანდა, იქამდე ის პარტიის წევრი არ ყოფილა. ფაქტია, რომ გაერთიანებული ოპოზიცია უპირველესი ოპოზიციური ძალაა. ამ ხელჩართული ბრძოლის დროსაც კი სანდრა რულოვსმა 43% დადო. ხალხი მუდმივად ემხრობა გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატს.

მეტსაც გეტყვით, ჩემთვის წყალგამყოფია რუსული ვექტორი. არც ერთ შემთხვევაში მაგიდასთან არ დავჯდები რუსულ ვექტორთან, მაგრამ საარჩევნო სისტემის ნგრევაზე როცაა ლაპარაკი, რა თქმა უნდა, 12 პარტია კი არა, 20 პარტია უნდა დაჯდეს. ახლა სრული გაერთიანების დროა, რათა მთლიანად დავშალოთ ეს საარჩევნო სისტემა.

მთელი ცხოვრება სხვა არაფერი მელანდება გარდა იმისა, რომ ევროპის მსხვილი პარტნიორი ვიყოთ. თუ იმ საქართველოში მომიწია ცხოვრება, რომ რუსული ვექტორი ამომრჩევლის თვალსაზრისით მეტია, ხმის ამომღები არ ვარ, თუ ჯანმრთელი საარჩევნო სისტემა იქნება, ხალხს ხომ ვერ გადავახტები?! მაგრამ დღეს ასე არ არის და ჯანსაღი საარჩევნო სისტემა არ არის. დღეს ჩემმა ხალხმა არჩევანი დასავლეთზე გააკეთა. თუ არჩევნები ცოტა ხანში ფიქციად იქცა, არჩევნების ჩატარებას საერთოდ აზრი დაეკარგება.

***– რევოლუციურ სცენარს თქვენ გამორიცხავთ?***

– მე იმ ფრთას მივეკუთვნები, რომელიც მომხრეა პირიქით იმის, რომ სასწრაფოდ პერმანენტული აქციებით დისკომფორტი შევუქმნათ ხელისუფლებას.

***– ამას არ ვგულისხმობ. მე გეკითხებით რევოლუციური გზით ხელისუფლების შეცვლას.***

– ხავერდოვანი რევოლუციები გვინახავს. კულტურულ ქვეყანაში 21-ე საუკუნეში სიტყვა რევოლუცია მწვავედ ჟღერს. დავარქვათ მშვიდად და წყნარად ხელისუფლების გადაბარება. მაგასაც რევოლუცია ჰქვია, როდესაც შეავიწროებ შენი მოთხოვნებით, მოითხოვ ჯანმრთელ საარჩევნო სისტემას, რომელიც თავის ადგილას დასვამს უმრავლესობას.

მერწმუნეთ, ხელისუფლება დღეს უმცირესობაშია, მე ფეხით ვიარე სოფელ-სოფელ. მე ასეთი სითბო და სიყვარული არ მინახავს. ხალხი ცვლილებას ითხოვს, მათ აღარ აინტერესებს იმისტი და ამისტი.

ოპერაცია არსებობს ორგვარი – ქირურგიული ჩარევა და ლაპარასკოპია, რომელსაც დღეს დიდი გასავალი აქვს და რომელსაც უსისხლო ოპერაცია ჰქვია. უსისხლოდ, ჯანმრთელი მოთხოვნებით შეგვიძლია გავაკეთოთ ხავერდოვნად ამ ხელისუფლების შეცვლა. ეს არის ჩემი, როგორც პარტია „კანონი და სამართლის“ თავმჯდომარის, დამოკიდებულება. ახლა ამაზე მიდის მოლაპარაკებები. ამას გინდა რევოლუცია დაარქვით, ან რაც გინდათ დაარქვით.

ხელისუფლება კრიმინალებთან გარიგებული იყო. 90-იან წლებში სამეგრელოს რომ გადაუარეს, ის ხალხი იყო ჩართული. ეს ჩემი სიტყვები არ არის, ამაზე მეგრელები მესაუბრებოდნენ. იმ ხალხთან იყო ხელისუფლება შეკრული. ამიტომ იყო ხალხი გაგიჟებული, რას ბრძანებთ, ამათ მივცემდით ხმასო. აფხაზეთიდან გადმოჰყავდათ კრიმინალები, კაცს ქვეყანა უფსკრულში მიჰყავს. უბედურებას გადაყრის ქვეყანას.

***– აფხაზეთიდან გადმოჰყავდათ კრიმინალები?***

– რა თქმა უნდა. ეს იყო საშინელება. არჩევნები მიდიოდა ტერორის ქვეშ. ასე უტიფრად ხდებოდა ყველაფერი. ივანიშვილი გათავხედებულია ფულით. ჩადებს 7 მილიონს, ბიუჯეტიდან წაიღებს 12 მილიარდს. სიტყვაზე ვამბობ ამას და არა – კონკრეტულ რიცხვებს. ხალხი შრომობს, განა ბიუჯეტში ფული არ შედის, მაგრამ ქვეყანას ეტყობა რამე?!

***– კულუარებიდან ასეთი ხმები გამოვიდა, თითქოს მელიას პოზიციას იზიარებს გრიგოლ ვაშაძეც და ასევე ისიც, რომ მელიას პარტიიდან გარიცხვა იგეგმება. რამდენად შეესაბამება ეს ინფორმაცია რეალობას?***

– არა. არაფერი მსგავსი არ ხდება. მით უმეტეს, გრიგოლ ვაშაძესთან დაკავშირებით. შეგიძლიათ მენდოთ. იმიტომ, რომ ბატონ გრიგოლთან საუბრები მუდმივად მაქვს და ეს თემა გამორიცხეთ.

***– ანუ მელიას პოზიციაზე არ დგას?***

– არ ვიცი, ვის პოზიციაზე დგას, მაგრამ მე ვიცი, ჩვენ რაზე გვისაუბრია. მათ რაზე უსაუბრიათ, ეს მე არ ვიცი.

# „ღამის 12 საათზე სპეცოპერაცია მომიწყვეს და ჩემი მანქანა წაიყვანეს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

დაიწყო, რომლის გასაჩივრების უფლება მომისპეს და ღამის 12 საათზე დაიწყეს აღსრულება.

ეს მართლა პოლიტიკური აქცია თუ არ არის, ღამის 12 საათზე რატომ უნდა მიხვიდე მოქალაქესთან აღსრულებაზე. ნებისმიერ შემთხვევაში აღსრულების ფურცელი უნდა ჩამბარებოდა.

ღამის 2 საათზე მომიტანეს დოკუმენტები – სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც 21 მაისს გავასაჩივრე სასამართლოში, მაგრამ მანქანის გადაყვანა მაინც მოხდა შპს „მოგოს“ ავტოსადგომზე.

***– თქვენ იყავით იმ უწყებათაშორისი კომისიის წევრი, რომელსაც თეა წულუკიანი ხელმძღვანელობდა. თქვენ თეა წულუკიანი გიცნობთ. რაიმე პირადი პრობლემა გქონდათ თეა წულუკიანთან?***

– თეა წულუკიანი არის არაადეკვატური ქალბატონი.

***– ამას რატომ ამბობთ?***

– არის ასეთი გამონათქვამი, ადამიანს ხელისუფლება რყვნის, აბსოლუტური ხელისუფლება კი აბსოლუტურად რყვნის. თეა წულუკიანსაც ეს მოუვიდა. თეა წულუკიანი 7 წელია ხელშეუხებელი მინისტრია. ის განუსაზღვრელ ძალაუფლებას ფლობს. სწორედ ამიტომ პოლიტიკურად ყველაზე გახრწნილი მინისტრია.

ამის გამოც და უწყებათაშორის კომისიაში ჩემი აქტიურობის გამოც დამეძაბა სიტუაცია თეა წულუკიანთან. ისე დამეძაბა სიტუაცია, რომ ჩემ მიმართ ქონების წართმევის ფაქტს ჰქონდა ადგილი, რაც თეა წულუკიანმა კარგად იცის, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ შეეჩერებინა ჩემთვის ქონების წართმევის პროცედურები და ქონება დაებრუნებინათ (ვგულისხმობ ავლაბარში ცუცქირიძის ქ. №13-ში არსებულ ქონებას), მან უცხოელებს უკანონოდ, კანონის სრული დარღვევით, ჩემი ქონება გადაუფორმა, არ მოგვცა საშუალება, დაგვეცვა ჩვენი უფლებები. ეს ვუთხარი კიდევაც უწყებათაშორის კომისიაზე.

გარდა იმისა, რომ საკუთრება მაქვს წართმეული, იყო ძალადობის ფაქტიც, მაგრამ წულუკიანმა არაფერი მოიმოქმედა. პირიქით, მოწინააღმდეგე მხარეს ხელი შეუწყო, რომ რაც შეიძლება მეტად დავეჩაგრე.

***– მიზანი მაინც რა იყო?***

– უნდოდა ხელი აეღო ჩემს განზრახვაზე, რაც არის პოლიტიკურ საქმიანობაში აქტიურად ჩართვა. ეს იუსტიციის მინისტრის მხრიდან ჩემ მიმართ დავალება იყო. წულუკიანმა პირადადაც მითხრა, წყნარად მეცხოვრა. კარგი იურისტი ხარ და მშვიდად იცხოვრეო. ამით მითხრა, შენ მიხედე შენს საადვოკატო ბიუროს, არ არის საჭირო პოლიტიკური და სამოქალაქო აქტიურობაო.

***– თქვენ დააფუძნეთ პოლიტიკური მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის“. პირადად თეა წულუკიანს სოციალური საკითხები და სოციალური სამართლიანობა რაში ეხება?***

– წულუკიანს სოციალური სამართლიანობის თვითონ იდეოლოგია არ აინტერესებს. უბრალოდ, წულუკიანი ხელისუფლებით ტკბობის პროცესშია. მას არ აინტერესებს აქტიური მოქალაქე, აქტიური ადამიანების კიდევ უფრო გამოჩენა პოლიტიკურ ასპარეზზე. ჩემი შინაგანი თვისებებიდან გამომდინარე (წულუკიანი ფიზიკურად და პიროვნულად კარგად მიცნობს) ფიქრობს, რომ შესაძლოა მე ბევრი მათთვის მოუწონარი რამ გავაკეთო, რადგან სუფთად ვცხოვრობ და კომპრომატები არ მაქვს.

თეა წულუკიანს ჩემ მიმართ კიდევ ერთი პრეტენზია აქვს.

***– რა პრეტენზია?***

– ერთი წლის წინ თეა წულუკიანს იმ მიზნით, რომ კანონში ცვლილება შეეტანა, მისი პირადი ქონება დავუყადაღე. სწორედ იმ დღიდან დაიწყო თეა წულუკიანის ჩემთან დაპირისპირება. თეა წულუკიანმა იფიქრა, ეს ისეთი ადამიანია, რომელთანაც ხუმრობა არ შეიძლებაო.

***– წულუკიანის ქონება როგორ დააყადაღეთ?***

– მოქალაქის განცხადების საფუძველზე, სამი წლის წინ მე დავაყადაღე წულუკიანის ქონება. კანონში იყო ხარვეზი. ადრე იყო კანონის ნორმა, რომ მოქალაქე განცხადებას დაწერდა (ვთქვათ, მამუკა ტუსკაძე). ვთქვათ სხვა მოქალაქის მიმართ გამაჩნდა რაღაც პრეტენზია და მოვითხოვდი დაყადაღებას. განცხადება საკმარისი იყო, რომ მთელი წელიწადი მისი ქონება დაყადაღებული ყოფილიყო, ვერ გამოიყენებდა, ამას არც სასამართლო გადაწყვეტილება სჭირდებოდა, არც არაფერი.

წულუკიანს მივმართე, რომ კანონში ეს ხარვეზი იყო და გამოსასწორებელი გახლდათ. მიპასუხა, არავითარი ხარვეზი არ არისო. თუ არ არის ხარვეზი, თქვენს ქონებაზე გამოსცადეთ-მეთქი, დავწერე განცხადება, გთხოვთ თეა წულუკიანს და პაპუნა უგრეხელიძეს დაუყადაღოთ ქონებები-თქო და, შესაბამისად, მთელი წელიწადი მათ ქონებებს ყადაღა დაედო. თან პირობა წავუყენე, თქვენს ქონებას ყადაღას მოვხსნი, დავწერ განცხადებას, თუ კანონს შეცვლით. ასევე დავემუქრე, თუ კანონს არ შეცვლით, მსგავსი მეთოდით ბიძინა ივანიშვილის ქონებასაც დავაყადაღებ-მეთქი.

***– ეგ არ გაგიკეთებიათ?***

– სწორედ აქედან დაიწყო ჩვენი დაპირისპირება. ორი კვირის შემდეგ, წულუკიანის განკარგულებით, კანონი შეიცვალა და 30 დღიანი ვადა დავიდა 3 სამუშაო დღემდე. 3 სამუშაო დღით შეუძლია მოქალაქეს თავისი განცხადებით შეაჩეროს პროცესი. 3 სამუშაო დღე სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ სასამართლომ მიიღოს გადაწყვეტილება, თუ აუცილებელია ყადაღის დადება ქონებაზე.

დავაყადაღებინე იმისათვის, რომ კანონში ცვლილება შეეტანა, თორემ წულუკიანს ჩემი რამე ვალი კი არ ჰქონდა. ის იუსტიციის მინისტრი იმიტომ არის, კანონმდებლობა მოარგოს ხალხს და არა – ხალხი კანონმდებლობას.

ამ დაპირისპირებას მოჰყვა 20 მაისის შემოტევა. მათ ჩემი დაკავებაც ჰქონდათ განზრახული. ფიქრობდნენ, რომ არ დავემორჩილებოდი კანონს და პოლიციას ფიზიკურად შევეხებოდი.

დღეიდან ვიწყებ სასამართლო დავას, ვასაჩივრებ სასამართლოს გადაწყვეტილებას.

# სოსო ცინცაძე: „ევროკავშირს ფული უჭირს, რუსეთი კი ევროსაბჭოში სოლიდური გადამხდელია“

იაგო ნაცვლიშვილი

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა ჯგუფის წევრი 47 ქვეყნის მინისტრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, რუსეთს ევროსაბჭოში აღუდგება ჯგუფის წევრობის სტატუსი და ამავდროულად, მას ექნება ხმის მიცემის უფლება. შედეგად რუსეთი ივნისში ახალი კანდიდატების დანიშვნის პროცესში მონაწილეობას დიდი ალბათობით მიიღებს. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა ჯგუფში ხმის მიცემის უფლება რუსეთს 2014 წლის ივნისში ჩამოერთვა, რისი მთავარი მიზეზიც ყირიმის ანექსია იყო. მინისტრების ამ გადაწყვეტილების შემდეგ რუსეთი საწევროს გადაიხდის.

ამ გადაწყვეტილების მიღების ინიციატორები გერმანია და საფრანგეთი იყვნენ, რომლებიც ამბობენ, რომ თუ რუსეთი საბჭოს დატოვებს, მაშინ უფრო რთული იქნება, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დარღვევებზე მიუთითოს. წამყვანი ქვეყნებიდან გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა დიდმა ბრიტანეთმა. მას გარდა, ბრიტანეთის პოზიციაზე იდგნენ შემდეგი ქვეყნები: საქართველო, უკრაინა, პოლონეთი, ლიტვა, ლიეტუვა, ესტონეთი. ამ 7 ქვეყნის მცდელობის მიუხედავად, ევროსაბჭოში გადაწყვეტილება ვერ დაიბლოკა.

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** საუბრობს:

***– როგორია თქვენი შეფასება ევროსაბჭოს მინისტრების გადაწყვეტილებაზე რუსეთის თემასთან დაკავშირებით, რომელსაც ადამიანის უფლებათა ჯგუფში ხმის მიცემის უფლება აღუდგება?***

– არა, ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის. მინისტრთა კომიტეტმა მიიღო რეკომენდაცია, რაც შემდგომ ზემო ინსტანციამ უნდა დაამტკიცოს, მაგრამ დიდი შანსია, რომ დაუბრუნდება რუსეთს ხმის მიცემის უფლება. ეს საბოლოოდ ივნისის სესიაზე გადაწყდება. მაგრამ, აქ საკითხი იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთს დაუგროვდა ვალი 2 წლით. მხედველობაში მაქვს საწევროს გადასახადი. რუსეთი აცხადებს, რომ ჩვენ როცა აღგვიდგენთ ხმის მიცემის უფლებას, გადახდას დავიწყებთო. მაგრამ გაურკვეველია, იმ 2 წლის თანხას გადაიხდის თუ არა.

აქ მთავარი საკითხი პოლიტკორექტულობას უკავშირდება, ეს ევროპას არ ეკადრება, მაგრამ, როგორც ჩანს, ევროკავშირს ფული უჭირს, რუსეთი კი ერთ-ერთი სოლიდური გადამხდელია. რუსეთის პოზიცია კი ასეთია, რომ ჩვენ დავბრუნდებით, ოღონდ თანასწორუფლებიანობის პირობით. მით უმეტეს, რომ ივნისის სესიაზე გენერალური მდივანი უნდა აირჩიონ. ძველ მდივანს ვადა ეწურება და, რასაკვირველია, რუსეთს ამ არჩევნებში მონაწილეობის მიღება უნდა.

გარდა ამისა, როგორც ჩანს, ევროპაშიც იცვლება განწყობილება. მინისტრთა კომიტეტის შეხვედრის ზუსტად წინა დღეს რუსეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მზად ვართ საერთოდ გავიდეთ ევროპის საბჭოდანო. ევროპელები ამის გამო შეფუცხუნდნენ, ვინაიდან ნახეს, რომ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი გადამხდელი რუსეთი ეკარგებათ, ამიტომ სასწრაფოდ მიიღეს გადაწყვეტილება.

უკრაინის დელეგაცია კატეგორიულად წინააღმდეგია და ამ გადაწყვეტილებას სამარცხვინო უწოდა. იმიტომ, რომ ეს სტატუსი რუსეთს სწორედ ყირიმის ანექსიის გამო შეუჩერდა.



***– გასაგებია, რომ ევროპას არ აქვს ფინანსურად სახარბიელო მდგომარეობა, მაგრამ ასეთი გადაწყვეტილებები მის პრინციპულობასა და პრესტიჟზე უარყოფითად არ იმოქმედებს?***

– რასაკვირველია. ევროპა ჩვენს თვალწინ იცვლება. ახლა მოლაპარაკება მიმდინარეობს გაზთან დაკავშირებით. უკრაინა და ევროკავშირს შორის დღე-დღეზე უნდა დაიწყოს მოლაპარაკება. რუსეთი მზად არის ამ მოლაპარაკებისთვის. ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა, რომლითაც რუსული გაზის უკრაინის გავლით ტრანზიტი უნდა განხორციელდეს. ეს მაშინ არსებობს პროექტი, რომ 60 მილიარდი კუბომეტრი გაზი 10 წლის განმავლობაში ყოველწლიურად რეზერვირებული უნდა იყოს უკრაინაზე ტრანზიტით. ჩრდილოეთი ნაკადი 2 რუსეთმა იმიტომ ააშენა და იმიტომ ჩაყარა მილიარდები, რომ უკრაინაზე აღარ გაატაროს გაზი, მაგრამ ევროკავშირში არის კანონმდებლობა გაზთან დაკავშირებით, ამიტომ რუსეთი ვალდებულია უკრაინის გავლით გაატაროს. ახლა მოლაპარაკება დაიწყება და გამოიკვეთა, რომ უკრაინელებს არ აქვთ იმედი, რომ გერმანია მხარს დაუჭერს მათ.

ევროპაში პრორუსული განწყობილება ძალიან გაძლიერდა. მით უმეტეს, რომ 26 მაისს ევროპარლამენტის არჩევნებია. ულტრამემარჯვენე ძალები, რომელზეც არსებობს ვარაუდი, რომ ევროპარლამენტში სოლიდურად იქნება წარმოდგენილი, ესენი სულ ყველა პრორუსული ძალებია. ასე რომ, სიტუაციის შეცვლა მოსალოდნელია, მაგრამ ჩვენ ფაქტიდან გამოვდივართ.

რაც შეეხება იმას, რამ გამოიწვია ეს, ეს გამოიწვია ევროპის პოლიტიკამ. ჩიხური სიტუაცია შეიქმნა, ერთი მხრივ, ევროპის ეკონომიკას ელოდება კოლაფსი, მიგრანტების ახალი ტალღა თუ არ შევიდა. სამუშაო ხელი არ არის. ევროპაში სიცოცხლის ხანგრძლივობა იზრდება, მაგრამ სამუშაო ძალა მცირდება. ესპანეთში 8 მილიონი მომუშავე, პრაქტიკულად, 18 მილიონ ადამიანს ინახავს. ამიტომ, ევროპას სჭირდება მიგრანტების ახალი ძალა. მეორე მხრივ, ეს მიგრანტები არიან ისლამური წარმოშობის, რომლებსაც არცთუ მთლად გაევროპელება უნდათ. ამიტომ, ეს კონფლიქტია აქ.

***– ამ პროცესში საქართველოს როლი რაში მდგომარეობს?***

– აქ ჩვენი დიპლომატიის არაეფექტური მუშაობაა მაშინ, როდესაც ქართველ მიგრანტებს ყრიან ევროპიდან და სირიიდან, ერაყიდან და აფრიკიდან ღებულობენ. იძახიან, რომ მუშა ხელი გვჭირდება, თორემ 20 წლის მერე ევროპაში მუშა ხელი საერთოდ აღარ იქნება. თანაც ევროპაში დემოგრაფიული პრობლემაა. 5 წელია ევროპაში სიკვდილიანობა ჭარბობს შობადობას. მხოლოდ ამერიკაშია ტრადიცია 4-5 შვილის ყოლის, თვით მილიონერებშიც კი. ევროპელ ქალებს არ უნდათ ბავშვის გაჩენა. საოცარი ფოტო იყო, როდესაც რობერტ კენედი კენჭს იყრიდა და გვერდით ედგა ფეხმძიმე მეუღლე და გვერდზე ჩამწკრივებული 8 შვილი. მაგრამ ეს ტრადიცია არ არის ევროპაში, ისევე, როგორც საქართველოში. იგივე ამერიკის რამდენიმე შტატში აბორტია აკრძალული, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ საფრთხე ემუქრება დედას ორსულობის გამო. ევროპაში ეს შეზღუდვები არ არის. ვინაიდან შობადობა მკვეთრად შემცირებულია, მას სჭირდება მიგრანტები, მუშა ხელი სჭირდება. მიგრანტების დიდი ნაწილი ისლამური ქვეყნებიდან არის, საიდანაც ვერავის გაურკვევია, ვინ მუშა ხელია და ვინ ტერორისტი. თანაც არ ხდება ამ ხალხის გაევროპელება პოლიტიკურად. ამას ამერიკა 100 წელზე მეტია წარმატებით ახერხებს, მაგრამ ევროპამ ეს გასაღები ვერ მოძებნა. ევროპას სჭირდება ყოველ წელს 1.3 მილიონი მიგრანტი, ეს სჭირდება ევროპის ეკონომიკას.

***– ბოლოს ისევ მინისტრების გადაწყვეტილებას დავუბრუნდეთ. ინიციატორების – გერმანიისა და საფრანგეთის არგუმენტია, რომ თუ რუსეთი საბჭოს დატოვებს, მაშინ უფრო რთული იქნება, ევროსასამართლომ დარღვევებზე მიუთითოს. რამდენად დამაჯერებელი არგუმენტია ეს?***

– ეს იმიტომ, რომ ევროსაბჭოდან გავა რუსეთი, მაგრამ აქ მეორე საკითხია კიდევ – ცუღლუტობს მერკელიც და მაკრონიც. ვინაიდან ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში რამდენი წელია ყველაზე მეტი საჩივარი რუსეთის წინააღმდეგ განიხილება. ეს უკმაყოფილებას რუსეთშიც გამოიწვევს თუ მოსახლეობას აღარ ექნება დარღვევების გასაჩივრების შესაძლებლობა საერთაშორისო სასამართლოში. ამიტომ, ფრანგები და გერმანელები ამას ხელოვნურად იხვევენ თითზე. ამით რუსეთის მოსახლეობა დაზარალდება, რის გამოც უკმაყოფილებას ხმამაღლა გამოთქვამს, რაც ნიშნავს იმას, რომ პუტინი დაზარალდება. რა გამოდის, პუტინს იცავენ?

***– ასე გგონიათ, რომ საფრანგეთი და გერმანია რუსეთის თამაშს თამაშობენ?***

– მთავარი, როგორც მე ვატყობ, ფულია. დანარჩენი ანტურაჟია. ვხედავ, თქვენ ერთი ვიწრო საკითხი გაინტერესებთ, მაგრამ ეს ყველაფერი ერთმანეთთან მიბმულია. რამდენიმე დღის წინ აღმოსავლური პარტნიორობის 10 წელი აღინიშნა, თუმცა არ გამიგია რომ საქართველოში რაღაც ზეიმით ან პარლამენტში სპეციალური სხდომით გამართულიყო. მაგრამ დასკვნები იყო ასეთი, რომ ყველაზე პროევროპულ ქვეყნებად სახელდებოდა უკრაინა, მოლდოვა და საქართველო. ახლა დასკვნაში წერია, რომ საქართველო, რომელიც ყოველთვის სანიმუშო იყო, დღეს იქ აღინიშნება მსუბუქი რეგრესი. მოლდოვაში მოსახლეობა გაყოფილია – ნახევარი პრორუსულია, ნახევარი პროევროპული. უკრაინაში კი უკანასკნელ მოვლენებთან დაკავშირებით მსუბუქი პროგრესი აღინიშნება.

როგორ ფიქრობთ, არჩევნები ჩვენზე დადებითად მოქმედებს. ვხედავთ, რომ იზრდება პრორუსული გავლენა ევროპაში. უძახეთ ულტრამემარჯვენე თუ ელტრამემარცხენე ძალები, მაგრამ ისინი ევროპის მოქალაქეები არიან. ევროპა კარგავს თავის ევროპულობას. როგორც მოგახსენეთ, აქ გადამწყვეტი რუსეთის საწევროს გადასახადია, მაგრამ ეს 60 მილიონი, რაც რუსეთს აქვს გადასახდელი, გადამწყვეტი არ უნდა იყოს. ეს გაზის ფაქტორიც დიდ გავლენას ახდენს. მერკელი პოლიტიკურად კი აკრიტიკებს, მაგრამ ამავდროულად, კბილებით იცავს ამ ჩრდილოეთ ნაკად 2-ს. ასე, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ბევრი ქვეყანა თანდათანობით სცილდება ევროპას თავისი ფასეულობებითა და ღირებულებებით. ვახსენე საქართველოში ჩატარებული არჩევნები, ევროპელები თავაზიანი ხალხია და ხმამაღლა არ გვლანძღავენ, მაგრამ ნგარიშს უწევენ ამას და ცვლიან თავიანთ პოლიტიკას. ეს რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს. ასე რომ, ეჭვი არ მეპარება, რუსეთს მიიღებენ ევროსაბჭოში და ივნისის სესიაზე რუსეთი იქნება წარმოდგენილი, სადაც გადაწყდება რუსეთის დელეგაციის მონაწილეობა.

# აფხაზეთში საზოგადოებრივი დაუმორჩილებლობა გამოცხადდა

## ბჟანიას მომხრეებს არჩევნების გადატანაზე უარი ეთქვათ

მარიამ მჭედლიშვილი

თუ რამდენიმე თვის წინ ოკუპირებული აფხაზეთის ოპოზიცია ფაქტობრივი საპრეზიდენტო არჩევნების გაზაფხულზე გამართვას მოითხოვდა, დღეს პირიქით ხდება. ხელისუფლების ოპონენტებმა 21 ივლისს დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნების მოგვიანებით ჩატარების ინიციატივა წამოაყენეს.

ხელისუფლებამ არც წინა მოთხოვნა გაითვალისწინა, არც – ახლანდელი. თუ წინა შემთხვევაში ამაზე რეაქცია არ ყოფილა, ამჯერად უსასრულო საპროტესტო აქცია და საზოგადოებრივი დაუმორჩილებლობა გამოცხადდა.



სიტუაციის რადიკალიზაცია შემთხვევით არ მომხდარა. მას წინ უძღოდა ოპოზიციის ლიდერის, პრეზიდენტობის კანდიდატის, დეპუტატ ასლან ბჟანიას უეცარი დაუძლურება. მისი მსგავსი სიმპტომები აღმოაჩნდათ ბჟანიას დაცვის წევრებსაც. ამის გამო ისინი 18 აპრილს მოსკოვის კლინიკაში მოათავსეს. ბჟანია დღესაც იქ მკურნალობს. მოსკოვში დასმული დიაგნოზის თანახმად, მას ვირუსული პნევმონია დაემართა.

ეს დიაგნოზი აფხაზეთში თითქმის არავინ დაიჯერა. რამდენიმე დღის წინ ექსპერტიზამ დაამტკიცა, რომ ბჟანიას ავადმყოფობა ბუნებრივ მიზეზებს არ გამოუწვევია. ამან საზოგადოებისა და პოლიტიკოსების უფრო მეტად აღელვება გამოიწვია. მათ მოითხოვეს ამ საკითხის პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე განხილვა, ასევე პროკურატურის მიერ საქმის სრულფასოვანი გამოძიება.

საზოგადოება მიხვდა, რომ კლინიკაში მყოფ ბჟანიას ივლისის არჩევნებში მონაწილეობა გაუჭირდება. ამიტომ 20 მაისს საკანონმდებლო ორგანოსთან შეკრებილებმა მიმართეს პარლამენტს არჩევნების გადატანის მოთხოვნით.

პარლამენტმა ამაზე უარი თქვა.

გამწარებულმა ხალხმა ამის საპასუხოდ უწყვეტი აქცია, საზოგადოებრივი დაუმორჩილებლობა დააანონსა და ხაჯიმბას გადადგომა მოითხოვა.

დაუმორჩილებლობის ფარგლებში 21 მაისს გადაიკეტა გზა ტამიშთან, ასევე – მდინარე ბზიფის ხიდი.

აქციის მონაწილეებს მიმართა აფხაზეთის გენერალურმა პროკურატურამ.

პროკურატურამ მოუწოდა ხალხს, დაიცვას კონსტიტუცია. ამ უწყებამ ყველას შეახსენა, რომ ხელისუფლების დამხობის ნებისმიერი მოწოდება დასჯადია.

ახალი შესაძლო გადატრიალების შესახებ მოლოდინი აფხაზეთში დიდი ხანია, არსებობს. საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ეს გამორიცხული არ არის. ისინი გამოთქვამდნენ მოსაზრებას, რომ ყოველ ოთხხუთ წელიწადში ერთხელ მომხდარი რევოლუციების შედეგად აფხაზეთისაგან არაფერი დარჩება.

2014 წელს გაზაფხულზე ქუჩაში დაწყებული პროცესების შედეგად მაშინდელი პრეზიდენტი ალექსანდრე ანქვაბი იძულებული გახდა, გადამდგარიყო. ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში მოვიდა რაულ ხაჯიმბა. ანქვაბი ჯერ რუსეთში ცხოვრობდა, შემდეგ კი აფხაზეთში დაბრუნდა. დღეს იგი პარლამენტის რიგითი წევრია.

ხაჯიმბას მმართველობას უმრავლესობა აკრიტიკებს. მას უწოდებენ უუნაროს და მრავალშტატიანს. ხაჯიმბას ადმინისტრაციის დროს აყვავდა კორუფცია და გაუარესდა ხალხის ცხოვრების დონე.

დეფაქტო პრეზიდენტს ყოველთვის დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა ოპოზიციასთან. გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს გარიგება. ამ გარიგებით, ოპოზიციამ დაახლოებით სამი წლის წინ მიიღო რამდენიმე საკვანძო თანამდებობა ხელისუფლების სხვადასხვა შტოში, თუმცა დაკარგა ხალხის ნდობა.

დღეს ხაჯიმბას ოპოზიციაზე დაბალი რეიტინგი აქვს. მოსალოდნელია, რომ იგი კიდევ იყრის კენჭს საპრეზიდენტო არჩევნებში.

ოკუპირებულ აფხაზეთში მოვლენები ისე მწვავდება, რომ შეიძლება საქმე დაგეგმილ არჩევნებამდე არც მივიდეს.

ოპოზიციის ლიდერის მოწამვლამ ახალი პროცესები გამოიწვია.

# „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ გენდირექტორი: „ყველა მხარე არის მზად დათმობებზე წასასვლელად“

ამოცანა დღეს დგას ის, რომ 8 პუნქტიდან, საგრძნობ რაოდენობაზე მივაღწიოთ პრინციპულ შედეგს, – ამის შესახებ ჟურნალისტებს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ გენერალურმა დირექტორმა ლევან ახვლედიანმა განუცხადა.

ახვლედიანის თქმით, მოლაპარაკებების პროცესი პოზიტიურად მიმდინარეობს.

– შედეგზე საუბარი ცოტა ადრეა. იყო სამუშაო შეხვედრა, განვიხილეთ საკითხები, ეს იყო, ასე ვთქვათ, წინარე სამუშაო შეხვედრა. წინ გვაქვს მსჯელობა, რომ რაღაც საკითხებზე განხილვა დავასრულოთ და შეთანხმებას მივაღწიოთ გარკვეულ საკითხებზე. მე ვფიქრობ, რომ თვითონ პროცესი პოზიტიურად მიმდინარეობს. სახელმწიფოს მხრიდანაც, ბანკების მხრიდანაც, ჩვენი მხრიდანაც არის მზაობა და კონსტრუქციული მიდგომა სხვადასხვა საკითხებთან მიმართებაში და მე ვიმედოვნებ, რომ საგრძნობ პროგრესს მივაღწევთ.

ყველა მხარე არის მზად დათმობებზე წასასვლელად და ამაზე



არის სწორედ საუბარი ყველას მხრიდან და მე ვფიქრობ, რომ კიდევ ერთხელ, ამოცანა დღეს დგას ის, რომ გარკვეულ საკითხებზე ამ 8 პუნქტიდან, საგრძნობ რაოდენობაზე მივაღწიოთ პრინციპულ შედეგს.

კონკრეტული პასუხებისგან თავს შევიკავებ. მთავარია დღეს დამთავრდეს მთლიანად ეს მოლაპარაკების პროცესი და ამის შემდეგ უფრო მეტ დეტალზე შევძლებ კომენტარის გაკეთებას. დილას გვქონდა მინისტრებთან შეხვედრა, ახლაც სამუშაო ჯგუფი აგრძელებს მუშაობას, უფრო დეტალურად განხილვას, ამიტომ დაველოდოთ, – განაცხადა ლევან ახვლედიანმა.

„ანაკლიის განვითარების კონსორციუმს, მთავრობასა და საერთაშორისო ინსტიტუტებს შორის შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე კრედიტორი ინსტიტუტების 8 პუნქტიანი მოთხოვნა განიხილეს. შეხვედრაში მონაწილეობა ანაკლიის განვითარების კონსორციუმის გენერალურმა დირექტორმა, ლევან ახვლედიანმა, ინფრასტრუქტურის და ეკონომიკის სამინისტროს პირველმა პირებმა და ოთხი დიდი საერთაშორისო ინსტიტუტის EBRD-ის, OPIC-ის, ADB-ის და AIIB-ის წარმომადგენლებმა მიიღეს.

საქართველოში პირველი ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა 400 მილიონი დოლარით უნდა დააფინანსონ.

IPN

# თემურ ბასილია: „ეროვნული ბანკი ვერ მოიხსნის პასუხისმგებლობას ლარის კურსთან დაკავშირებით“

ბოლო კვირების განმავლობაში ლარის კურსის გაუფასურებას ყოფილი ვიცე-პრემიერი თემურ ბასილია რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „ეკონომისტის დრო ლევან ქისტაურთან



ერთად“ აფასებს. მისი განცხადებით, ვალუტის გაცვლითი კურსი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ნაწილია და ის ეროვნულმა ბანკმა უნდა გაატაროს. ამიტომ, ლარის კურსზე ეროვნული ბანკი პასუხისმგებლობას ვერ მოიხსნის.

„ეროვნულმა ბანკმა საერთოდ ყველაფრისაგან ხელები დაიბანა. მას თითქოს არაფერი ეხება ინფლაციის გარდა. ამ თემაზე სებ-ისგან არაერთი განცხადება მოვისმინე. ეს აბსოლუტურად არასწორი მიდგომაა.

როდესაც არის თავისუფალი, ცვალებადი კურსი, იქ რყევები ხდება. ეს კი, ბუნებრივია, დამოკიდებულია მოთხოვნა-მიწოდებაზე, ეკონომიკურ აქტივობაზე, სავაჭრო ბალანსზე და ბევრ სხვა ფაქტორზე. ლარის გაუფასურების მთავარი მიზეზი არის ის, რაზეც მე საუბარი 5-7 წლის წინ დავიწყე. ვგულისხმობ იმ ფუნდამენტურ პრობლემებს, რომელიც საბანკო სფეროში არსებობს. მათ შორისაა, არაპროფილური აქტივების ფლობა, რეფინანსირების სესხები და ასე შემდეგ. სანამ ეს ფუნდამენტური პრობლემები არ გადაიჭრება და სანამ საბანკო სფეროს წარმომადგენლები ამას პრობლემად არ აღიარებენ და ამაზე სერიოზულ ფოკუსირებას არ დაიწყებენ, პრობლემა ყოველთვის იარსებებს“ – აცხადებს ბასილია.

მისი განცხადებით, ლარის კურსი მეორადი პრობლემაა, ფუნდამენტური პრობლემა კი სხვაა. კერძოდ, ეს არის ის, რომ საბანკო სფეროს უფრო მეტი მხარდაჭერა სჭირდება.

– ამაში ვგულისხმობ, რომ უნდა მოხდეს მათთვის გარკვეული ჩარჩოების შექმნა, სადაც ისინი სამართლიანი თამაშის წესებით ითამაშებენ, – აცხადებს ბასილია.

რაც შეეხება ლარის კურსს, Bloomberg-ის სავაჭრო პლატფორმაზე დღეს 16:00 საათზე ერთი დოლარი 2,7675 ლარად ივაჭრება. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გუშინ დადგენილი კურსით, დღეს ერთი აშშ დოლარის ოფიციალური ღირებულება 2.7470 ლარია. რაც შეეხება ევროს, მისი კურსი 3.0643 ლარია. ეროვნული ბანკი ახალ კურსს დღეს 17:00 საათზე გამოაქვეყნებს.

შედარებით განსხვავებულია კომერციულ ბანკებში არსებული კურსი. მაგალითად, თიბისი ბანკში 1 აშშ დოლარის ყიდვა 2.8050 ლარადაა შესაძლებელი, საქართველოს ბანკში კი 1 აშშ დოლარი 2.807 ლარი ღირს.

კომერსანტი

# 15 ივნისიდან „მაგთი ფიქსი“ უქმდება

15 ივნისიდან „მაგთი ფიქსის“, ისევე, როგორც EVDO-ს მოდემის მომხმარებლები სერვისით ვერ ისარგებლებენ, – ამის შესახებ „კომერსანტს“ სატელეკომუნიკაციო კომპანია „მაგთიკომში“ განუცხადეს.



15 ივნისიდან CDMA ლიცენზიას ვადა გასდის და „მაგთი ფიქსის“ ნაცვლად, იმ ლოკაციებზე, სადაც მოქმედებს მაგთის ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტი, „მაგთის“ მომხმარებლებს შეუძლიათ ისარგებლონ ინტერნეტზე დაფუძნებული ფიქსირებული ტელეფონით.

– EVDO მოდემის ნაცვლად, შეგიძლიათ ისარგებლოთ მაგთის 3G მოდემით, რომელიც უფასოდ გადმოგეცემათ. ამისათვის აუცილებელია, დაუზიანებელი მოდემი, რომელიც იურიდიულმა მფლობელმა უნდა წარადგინოს მაგთის ნებისმიერ ოფისში. აუცილებელი პირობაა ის, რომ ბოლო 3 თვის განმავლობაში იყოს აქტიური, მოდემის უფასოდ შეცვლა შესაძლებელია 13.05.19-დან 30.06.19-ის ჩათვლით. აბონენტთა საყურადღებოდ, ვინც სარგებლობთ ორსიხშირიანი მოდემით, კვლავ შეძლებთ მომსახურებით სარგებლობას მხოლოდ 3G (WCDMA) ქსელის გამოყენებით, – აცხადებენ „მაგთიკომში.

როგორც კომპანიის პრესსამსახურში აცხადებენ, უფრო მაღალტექნოლოგიური ოპტიკურ-ბოჭკოვანი სერვისი „მაგთი ფიქსის“ შემცვლელი იქნება.

– დღეს იმ ადგილებში, სადაც ჩვენი ოპტიკურ-ბოჭკოვანი სერვისია, ადამიანებს შეუძლიათ ისარგებლონ ფიქსირებული ტელეფონის მომსახურებით, ამისთვის უნდა გაკეთდეს განცხადება. ეს ინტერნეტი უფრო მაღალტექნოლოგიურია, – აცხადებს კომპანიის პრესსამსახურის უფროსი ქეთი ლომაძე „კომერსანტთან“ ინტერვიუში.

„მაგთი ფიქსი“ წარმოადგენს უსადენო ფიქსირებული ტელეფონის მომსახურებას, რომელიც ოპერირებისთვის იყენებს CDMA 450 ტექნოლოგიას (ოპერირებს 450 მეგაჰერც სიხშირეზე). საცალო ბაზარზე სადენიანი ფიქსირებული ტელეფონის შეთავაზება „მაგთიკომმა“ 2016 წლიდან დაიწყო.

კომერსანტი

# ირაკლი ლექვინაძე: „უკვე შეგვიძლია ბიზნესის ინტერესები საერთო სასამართლოებში მიმდინარე დავებშიც დავიცვათ“

– უკვე შეგვიძლია ბიზნესის ინტერესები საერთო სასამართლოებში მიმდინარე დავებშიც დავიცვათ, – ამის შესახებ ბიზნესომბუდსმენმა ირაკლი ლექვინაძემ სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ინსტიტუციური დიალოგის ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.



კანონიერ ძალაში შევიდა და ამოქმედდა „საქართველოს ბიზნესომბუდსმენის შესახებ“ კანონში ცვლილება, რომლის მიხედვითაც ბიზნესომბუდსმენი უფლებამოსილი ხდება საერთო სასამართლოების სისტემაში მიმდინარე ადმინისტრაციულ დავებშიც შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია.

ირაკლი ლექვინაძის თქმით, ამ დრომდე ბიზნესომბუდსმენს აღნიშნული ფუნქციის გამოყენების შესაძლებლობა მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოში ჰქონდა.

– ჩვენი ანალიზის მიხედვით ბიზნესისთვის ერთ-ერთ მთავარ პრობლემურ საკითხად რჩება გაჭიანურებული სასამართლო პროცესები. სწორედ აქედან გამომდინარე, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კერძო სექტორის მხრიდან გაჩნდა ინიციატივა, რომ ბიზნესის ინტერესების გასაძლიერებლად და ამ მიმართულებით სასამართლოს ეფექტიანობის გასაზრდელად გაფართოებულიყო ბიზნესომბუდსმენის სასამართლოს მეგობრის ფუნქცია. კანონში შესული ცვლილებით ბიზნესომბუდსმენის აპარატს უკვე აქვს შესაძლებლობა, საერთო სასამართლოებში ადმინისტრაციულ ორგანოებთან მიმდინარე დავაში ბიზნესის პოზიციების გასაძლიერებლად გააგზავნოს დასკვნა ან საჭიროების შემთხვევაში მიავლინოს იურისტი, – განაცხადა ირაკლი ლექვინაძემ.

კომერსანტი

# აფხაზეთის ტურიზმის ე.წ. მინისტრი – ოპოზიციის პროტესტის შედეგად, ტურიზმი მილიონნახევარი რუბლით დაზარალდა

ბზიფში ოპოზიციის წარმომადგენლების მიერ ცენტრალური გზის გადაკეტვის შედეგად, ოკუპირებულმა აფხაზეთმა მილიონნახევარი რუსული რუბლი იზარალა. ამის შესახებ აფხაზეთის ტურიზმისა და კურორტების საკითხებში ე.წ. მინისტრმა ავთანდილ ღარცკიამ განაცხადა.

მისი ინფორმაციით, ოპოზიციის მიერ გზის გადაკეტვის გამო 20 ავტობუსი უკან გაბრუნდა.



– ტურისტები, რომლებიც აფხაზეთში ჩამოდიან, ტოვებენ ფულს, როდესაც ჩვენ ბაზრებში პროდუქტებს და საქონელს ყიდულობენ, – განაცხადა ღარცკიამ.

ის იმედოვნებს, რომ „რესპუბლიკაში“ გზის გადაკეტვა აღარ გამეორდება, რადგან ეს ტურიზმზე უარყოფითად მოქმედებს.

ოპოზიციის წარმომადგენლებმა, რომლებმაც უვადო პროტესტის შესახებ 20 მაისს გამოაცხადეს, გამთენიისას დასახლება ბზიფთან ცენტრალური გზა გადაკეტეს, რომელიც გუშინ, შუადღისას გაიხსნა.

ამასთან, ცნობილი ხდება, რომ „გენერალურმა პროკურატურამ“ დაიწყო მასალების შეგროვება დე ფაქტო პარლამენტის შენობასთან ოპოზიციის მიერ დაწყებულ პროტესტთან დაკავშირებით.

IPN

# კახა კალაძე: „ვისაც აქვს სურვილი, კონკრეტულ ადგილებზე მიწისქვეშა პარკინგები განათავსოს, ამ ტერიტორიებს ყოველგვარი გადასახადების გარეშე გადავცემთ“

– დღესაც გამოვთქვამთ მზადყოფნას, თუ იქნება ბიზნესჯგუფი ან ადამიანები, ვისაც აქვს სურვილი, კონკრეტულ ადგილებზე განახორციელოს მიწისქვეშა პარკინგები, ჩვენ ამ ტერიტორიებს ყოველგვარი გადასახადების გარეშე გადავცემთ, – ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ ჟურნალისტებს განუცხადა.



როგორც კალაძემ აღნიშნა, მერიის მიერ გამოცხადებულ არც ერთ ლოკაციაზე ინვესტორმა დაინტერესება პარკინგის მოსაწყობად არ გამოხატა.

– პარკირება მთელი ქალაქისთვის სერიოზული პრობლემაა. თქვენ იცით, რომ ჩვენ გამოცხადებული გვქონდა კონკრეტულ ლოკაციებზე ადგილები, სადაც კვლევით შესაძლებელი იყო მიწისქვეშა პარკირების მოწყობა. მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ეს ადგილები გადაგვეცა ინვესტორისთვის, ვისაც სურვილი ჰქონდა იქ განეხორციელებინა პროექტი, თუმცა, ჩვენ ვერ მივიღეთ შედეგი, არ გამოჩნდნენ ასეთი კომპანიები, ვისაც სურვილი ჰქონდა ამის გაკეთების. თუმცა, თქვენ გახსოვთ, როდესაც პუშკინის სკვერის მიმდებარე ტერიტორიაზე საინვესტიციო ვალდებულებით მიწა გადაეცა თანაინვესტირების ფონდს, ამას რამხელა აჟიოტაჟი მოჰყვა. ეს იყო პოლიტიკური სპეკულაციები. იქ სამუშაოები მიმდინარეობს და უახლოეს მომავალში დასრულდება. ჩვენ დღესაც გამოვთქვამთ მზადყოფნას, თუ იქნება კონკრეტული ბიზნესჯგუფი თუ ადამიანები, ვისაც აქვს სურვილი ამ კონკრეტულ ადგილებზე განახორციელოს მიწისქვეშა პარკინგები, ჩვენ ამ ტერიტორიებს ყოველგვარი გადასახადების გარეშე გადავცემთ, – აღნიშნა კალაძემ.

მისივე განცხადებით, ორბელიანის მოედანზე ევროსტანდარტების შესაბამისი მიწისქვეშა პარკინგი უახლოეს დღეებში გაიხსნება.

– პირველი პროექტი, რომელსაც ვახორციელებთ, ორბელიანის მოედანზეა. დაახლოებით, 130 ავტომობილზე პირველი მიწისქვეშა პარკინგი რამდენიმე დღეში დასრულდება, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებით არის გაკეთებული, როგორც განვითარებულ ევროპულ ქალაქებში კეთდება. ყველანაირი უსაფრთხოება, შშმ პირთათვის სპეციალური ლიფტები, სახანძრო სისტემა არის ისე გაკეთებული, როგორც სტანდარტები მოითხოვს, – განაცხადა კალაძემ.

IPN.GE

# ჩაწყობილი მატჩების საქმეზე დაკავებულ 11 ფეხბურთელს ბრალი წაუყენეს



ჩაწყობილი თამაშების საქმეზე დაკავებულ 8 მოქმედ და 3 ყოფილ ფეხბურთელს ბრალი წაუყენეს.

როგორც ერთ-ერთი დაკავებულის ადვოკატმა, რამაზ ჩინჩალაძემ აღნიშნა, მისი დაცვის ქვეშ მყოფი ამ დროისთვის დუმილის უფლებას იყენებს და ჩვენების მიცემაზეც უარს ამბობს.

– ვერ ვიტყვი ამას, რომ ეს შეიძლება კლუბის წინააღმდეგ იყოს დაგეგმილი ან საერთოდ იყო თუ არა პროვოკაცია, თუმცა მსგავსი კატეგორიის საქმეებში, არ არის გამორიცხული პროვოცირების ნიშნები, რათა კონკრეტული პირები მიეცნენ პასუხისგებაში. ზოგადად დანაშაულის პროვოკაცია ნიშნავს დაყოლიებას დანაშაულის ჩასადენად მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ნიშნით, ანუ ვისაც იყოლიებენ, რომ ჩაიდინოს დანაშაული, – განაცხადა ადვოკატმა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა 20 მაისს 8 მოქმედი და 3 ყოფილი ფეხბურთელი დააკავა.

„ნიუპოსტის“ ინფორმაციით, დაკავებულები არიან ჯონი შეროზია, პაატა ღუდუშაური, გიორგი გეთიაშვილი, ნოდარ კიკნაველიძე, ნიკოლოზ მაისურაძე, რატი იმერლიშვილი, ირაკლი ბაჯელიძე, ლაშა ჩაფიძე და ირაკლი ხუჭუა.

უწყების ცნობით, ორგანიზებული ჯგუფის წევრები დანაშაულებრივად უკავშირდებოდნენ საფეხბურთო კლუბების ფეხბურთელებს და გარკვეული თანხის სანაცვლოდ ურიგდებოდნენ მოწინააღმდეგე გუნდთან წინასწარ შეთანხმებული ანგარიშით ე.წ. „ჰანდიკაპით“ ორი ან მეტი ბურთით წაგებაზე.

მომხდარზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 203-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით 4-დან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

დაკავებულებმა, მატჩების წინასწარ შეთანხმებული ანგარიშით დასრულებისათვის 93.500 ლარი აიღეს.

❖ ❖ ❖

რატი იმერლიშვილი თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს.

როგორც ადვოკატმა მაია ყანადაძემ სუს-თან ჟურნალისტებს განუცხადა, სპორტსმენი ფიქრობს, რომ უდანაშაულოა და დუმილის უფლებას ინარჩუნებს.

– გამოძიება ედავება თამაშზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით თანხის აღებას. ამ შემთხვევაში, თუ არ ვცდები, საუბარია 4.000 ან 5.000 დოლარზე. საქმის მასალები ჯერჯერობით არ გადმომცემია, – განაცხადა ადვოკატმა.

მაია ყანადაძის განმარტებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი არ ფიგურირებს ვიდეოში, რომელიც სუს-მა გაავრცელა და სადაც ჩანს ფულის გადაცემა.

– ეს არ არის ჩვენს ეპიზოდზე. თუ არ ვცდები, ეს იყო ბათუმის ეპიზოდზე. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი არც ამ ვიდეოში და არც არანაირი ვიდეოში არ ფიგურირებს, – განაცხადა ადვოკატმა.

# „თამამი სელფი გამომიგზავნე და ყველაფერი ჩვენ შორის დარჩება“ – ბათუმელი სტუდენტი ლექტორს სექსუალურ შევიწროებაში ადანაშაულებს

სტუდენტი ლექტორს სექსუალურ შევიწროებაში ადანაშაულებს.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორეკურსელი, 19 წლის სტუდენტის თამთა მ-ს [სახელი შეცვლილია] თქმით, მას სამართლის ერთ-ერთი ლექტორი სექსუალურად ავიწროებს.

სტუდენტი ამბობს, რომ მას ამის დამადასტურებელი მიმოწერა და ფოტოსურათები აქვს.




თამთას თქმით, სექსუალური ხასიათის მესიჯები მან ლექტორისგან პირველად 15 დღის წინ მიიღო. ჯერ იყო მოკითხვა – „როგორ ხარ“. მერე – „გყავს თუ არა ძმა, მამა“. შემდეგ გაჩნდა მოთხოვნა – „თამამი სელფი გამომიგზავნე“.

მიმოწერაში სტუდენტი ყოველ ჯერზე სთხოვს ლექტორს, შეწყვიტოს ამის მოთხოვნა.

ლექტორი სტუდენტისგან ითხოვდა ისეთი ფოტოები გაეგზავნა, „თითქოს ზღვაზე იყო საბანაოდ“.

მიმოწერას თან ახლავს ფოტოსურათებიც. ერთ ფოტოზე ლექტორი მაისურითაა, მეორე ფოტო კი წელსქვემოთაა გადაღებული და ერექციას ასახავს. ამ კადრზე კაცს შარვალი აცვია და მისი სახე არ ჩანს.

თამთა ამბობს, რომ ეს ლექტორი მას მუნიციპალურ სამართალს ასწავლის.

– პირველ კურსზე რომ ჩავაბარეთ, მაღალკურსელებმა გვითხრეს ამ და სხვა ლექტორზეც, ფრთხილად იყავით, ლექტორები სტუდენტებს წერენო. გამომწვევად, მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით არ იაროთო, – ამბობს თამთა.

ის დეტალურად იხსენებს, როდის და რა სახის შეტყობინებები მიიღო ლექტორისგან.

19 წლის გოგონა საკუთარი ვინაობის გასაჯაროებას არ თანხმდება, მაგრამ თანახმაა, მისი და ლექტორის მიმოწერა გავასაჯაროოთ.

– თავიდან სოციალურ ქსელში მომწერა. უბრალოდ მკითხულობდა, როგორ ვიყავი და მეც თავაზიანად ვპასუხობდი. მერე საკუთარი ფოტო გამომიგზავნა და ჩემი სელფიც მთხოვა, მკითხა, შევძლებდი თუ არა „თამამი სელფები“ გამეგზავნა მისთვის – „თითქოს ზღვაზე ვიყავი“, რაზეც ჩემგან უარი მიიღო, მაგრამ მაინც აგრძელებდა თხოვნას, რომ „მომეხსნა კომპლექსები“ და „არ შემშინებოდა“, რადგან „ყველაფერი ჩვენ შორის დარჩებოდა“ და ყველაფერი „ჩვენ გვეცოდინება მხოლოდ“.

ცდილობდა, ფოტოების გაგზავნაზე დავეყოლიებინე. მეგონა, გაჩერდებოდა და მაქსიმალურად ზრდილობიანად, მშვიდად მივუთითებდი, რომ ასეთი საქციელი შეუფერებელია ლექტორისთვის. ბოლოს ისიც კი მივწერე, რომ უსინდისოდ იქცეოდა. მაგრამ არ წყვეტდა მიმოწერას, – ყვება თამთა.

ლექტორის წინააღმდეგ სექსუალური შევიწროების ბრალდებით სტუდენტმა სამართალდამცავებს უკვე მიმართა, მერე კი ყველაფერი კურსელებს უამბო.

# რუსთავში 31 წლის ქალის გაუპატიურება სცადეს



20 მაისს სექსუალური ძალადობის ფაქტი მოხდა რუსთავში.

31 წლის ქალის გაუპატიურება ცენტრალურ პარკში სცადეს.

„ინფო რუსთავს“ დაზარალებული გაესაუბრა და აღნიშნა, რომ მას თავს უცნობი მამაკაცი დაესხა და მისი გაუპატიურება სცადა.

ქალის ხმა, რომელიც შველას ითხოვდა, შემოვლაზე მყოფმა პარკის დაცვის თანამშრომელმა გაიგო და მისი გადარჩენა მოახერხა.

მამაკაცი ადგილიდან მიიმალა.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ სასწრაფო სამედიცინო, კრიმინალური და საპატრულო პოლიცია.

გოგონას ძალადობის კვალი აღენიშნებოდა სახის და მარჯვენა ხელის არეში, მას სამედიცინო დახმარება ადგილზე გაეწია.

მომხდარზე გამოძიება 19-137 მუხლით დაიწყო, რაც გაუპატიურების მცდელობას გულისხმობს.

# გორში მაღაზია „ფაუნა“ გაძარცვეს

გუშინ, 21 მაისს, გორში მაღაზია „ფაუნა“ გაძარცვეს. „ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, შემთხვევა ჭავჭავაძის გამზირზე მოხდა.



მაღაზიიდან წაღებულია სასტარტო იარაღი.

ადგილზე პოლიცია იყო მობილიზებული.

მომხდარზე გამოძიება სსკ 178 მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც ძარცვას გულისხმობს.

# იაგო ნებიერიძის განაჩენი 27 მაისს გამოცხადდება

გორში 9 წლის ნანიკო ბერიაშვილის მკვლელობის საქმეზე ბრალდებულ იაგო ნებიერიძის მიმართ განაჩენი 27 მაისს გამოცხადდება.

აღნიშნულის შესახებ ჟურნალისტებს საქმის პროკურორმა ნანა გუგუტიშვილმა განუცხადა.

მან გუშინდელ, 21 მაისის პროცესზე დასკვნითი სიტყვა წარმოთქვა.

– სასამართლოს წინაშე დასკვნით სიტყვაში ყურადღება გავამახვილეთ ყველა იმ მტკიცებულებაზე, რაც საქმეში იყო წარმოდგენილი და სასამართლოში გამოვიკვლიეთ. სასამართლოს წინაშე ბრალდებულ იაგო ნებიერიძის დამნაშავედ ცნობა მოვითხოვეთ წარდგენილ ორივე ბრალდებაში.

ჩვენ სასამართლოს ვაჩვენეთ მტკიცებულებები და ის, თუ რა დასტურდება. გვაქვს იმედი, რომ სასამართლო გაითვალისწინებს და გამამტყუნებელი განაჩენი გამოვა. არაერთი მტკიცებულებაა წარმოდგენილი, რომელიც აშკარა,



დამაჯერებელი და ურთიერთშეთანხმებულია, – განაცხადა გუგუტიშვილმა.

27 მაისს, 11:00 საათზე, თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულ პროცესზე, დაცვის მხარე დასკვნით სიტყვასაც წარმოთქვამს. ამის შემდეგ, ბრალდებულმა საბოლოო სიტყვით უნდა ისარგებლოს, შემდეგ კი სასამართლო სასათბიროდ გავა.

შეგახსენებთ, რომ გორში 9 წლის ნანიკო ბერიაშვილი 25 ოქტომბერს გაუჩინარდა. ის რამდენიმე საათში სამართალდამცველებმა გარდაცვლილი იპოვეს. აღნიშნულთან დაკავშირებით, 33 წლის, წარსულში ნასამართლევი იაგო ნებიერიძე დააკავეს. იაგო ნებიერიძეს ბრალი წარდგენილი აქვს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების ჩადენას. ნებიერიძეს ასევე ბრალი წარდგენილი აქვს სსკ-ის 109-ე მუხლით, რაც დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

# ჯგუფურად ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადებისა და გამოყენების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს




საგამოძიებო სამსახურმა ჯგუფურად ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადებისა და გამოყენების ფაქტზე ერთი პირი დააკავა.

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ – სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჯგუფურად ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადებისა და გამოყენების ფაქტზე, ერთი პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, თანამზრახველებთან ერთად, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, სოციალურად დაუცველი და სხვადასხვა მძიმე კატეგორიის დანაშაულისთვის ნასამართლევი პირების სახელზე, სამეწარმეო საქმიანობის განზრახვის გარეშე, საქართველოს მასშტაბით დაარეგისტრირა 10-ზე მეტი საწარმო, რომელთა საშუალებითაც ახორციელებდა ჯართის ფიქტიურ შესყიდვებს და გაწერებს, რა დროსაც, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხდებოდა დამატებული ღირებულების გადასახადის უკანონო ჩათვლების მიღება, რომლითაც შემდგომში იფარებოდა ბიუჯეტის მიმართ წარმოშობილი ვალდებულებები.

გამოძიების ამ ეტაპისათვის დადგენილია, რომ უკანონოდ ჩათვლილი დამატებული ღირებულების გადასახადის ოდენობა 1.200.000 ლარს აღემატება. გრძელდება საგამოძიებო მოქმედებები დანაშაულში შემჩნეული სხვა პირების დადგენა-მხილების მიზნით.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 7 წლამდე ვადით“ – აღნიშნულია ფინანსთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ქურდობისთვის 1 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქურდობისა და კომპიუტერულ სისტემაში უნებართვოდ შეღწევის ბრალდებით 1 პირი დააკავა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1991 წელს დაბადებული ზ.ტ. ქურდობისა და კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 3-დან 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა თბილისში, თაქთაქიშვილის ქუჩასა და კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე, ორი მოქალაქის კუთვნილი ავტომანქანებიდან პირადი ნივთები, ფული და პლასტიკური ბარათები მოიპარა, რის შემდეგაც მიიმალა. ასევე დადგინდა, რომ ზ.ტ.-მ ავტომანქანებიდან მოპარულ საბანკო ბარათებზე არსებული თანხა გაანაღდა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბრალდებული თბილისში დააკავეს. პოლიციამ, დაკავებულის პირადი ავტომანქანის ჩხრეკისას, ნაქურდალი ნივთები ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება ქურდობისა და კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის ფაქტზე მიმდინარეობს, სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 284-ე მუხლით, – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ავარია ნუცუბიძეზე

## დაშავებულია 2 ადამიანი

გუშინ, 21 მაისს, თბილისში, ნუცუბიძის ქუჩაზე ერთმანეთს მოტოციკლი და მსუბუქი ავტომანქანა შეეჯახნენ.

შემთხვევის შედეგად დაშავდა 2 ადამიანი, რომლებიც საავადმყოფოში არიან გადაყვანილი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით დაიწყო.

# დუშანბეს ციხეში პატიმრები აჯანყდნენ



დუშანბეს მახლობლად მდებარე მკაცრი რეჟიმის კოლონიაში პატიმრები აჯანყდნენ.

კოლონიაში ძირითადად ისლამისტი ექსტრემისტები სხედან. მათი უმრავლესობა ისლამური სახელმწიფოს წევრია.

პატიმრებმა რამდენიმე ზედამხედველი და შინაგანი ჯარის ოფიცერი მძევლებად აიყვანეს. ისინი თვითნაკეთი დანებით, ნაჯახებით და ჯოხებით იყვნენ შეიარაღებულნი.

პატიმრები დაცვის გარღვევას და კოლონიიდან გასვლას შეეცადნენ. მათ ჯერ 3 ბადრაგი მოკლეს, შემდეგ – 5 პატიმარი, შემდეგ კი ციხის საავადმყოფოს ცეცხლი წაუკიდეს.

დაცვამ მათი მიმართულებით ცეცხლი გახსნა.

დაიღუპა 29 პატიმარი. უამრავი დაიჭრა.

ციხის აჯანყებაში ბრალს „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებს სდებენ.

# ზელენსკი დასავლეთს რუსული აგრესიისგან დაცვას სთხოვს



ინაუგურაციის შემდეგ უკრაინის ახალი პრეზიდენტი აშშ-სა და ევროკავშირის წარმომადგენლებს შეხვდა. კერძოდ, ის ესაუბრა ევროკომისიის წარმომადგენელ შეფტოვიჩს და აშშ-ის დელეგაციის ხელმძღვანელ პერის.

ზელენსკიმ ხაზი გაუსვა იმას, რომ რუსული აგრესია გრძელდება. მან თქვა, რომ უკრაინა მხოლოდ საკუთარი ძალებით ამას წინ ვერ აღუდგება.

– იმედი გვაქვს დასავლეთის, უწინარეს ყოვლისა, აშშ-ისა და ევროპის დახმარების, – განაცხადა ზელენსკიმ.

უკრაინის ახალმა პრეზიდენტმა აშშ-ის წარმომადგენელს მადლობა გადაუხადა იმ წვლილისთვის, რაც ამერიკელებმა უკრაინული არმიისა და უშიშროების სისტემების განმტკიცებაში შეიტანეს.

ზელენსკიმ გამოთქვა იმედი, რომ აშშ მომავალშიც უკრაინის ერთგული მეგობარი და მოკავშირე იქნება.

# მადუროს ვადამდელი არჩევნების ჩატარება სურს



ვენესუელის პრეზიდენტმა ნიკოლას მადურომ განაცხადა, რომ ქვეყანაში პარლამენტის ვადამდელი არჩევნები უნდა ჩატარდეს.

– დღევანდელი პარლამენტის უმრავლესობა ანტიკონსტიტუციურ გადატრიალებაშია გარეული! ამისი მოთმენა არ შეიძლება! – ამბობს მადურო.

ვენესუელაში ოპოზიციონერთა დევნა გრძელდება. მხოლოდ უკანასკნელი 2 დღის განმავლობაში 15 ოპოზიციონერი დააპატიმრეს.

# საფრანგეთი ევროპარლამენტის არჩევნების წინ



ევროპარლამენტის არჩევნები ახლოვდება.

საფრანგეთში 2 პარტია ლიდერობს. ესენია პრეზიდენტ მაკრონის „წინ რესპუბლიკა“ (23%) და უკიდურესად მემარჯვენე „ნაციონალური ფრონტი“ (23,5%).

მაკრონის პარტიის რეიტინგი სტაბილურია. რაც შეეხება „ნაციონალურ ფრონტს“, მისი რეიტინგი 1%-ით შემცირდა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# მოუქნელი მამაკაცი ატრაქციონზე გაიჭედა



ინგლისის ნოტინჰემშირის საგრაფოს ქალაქ ნოტინჰემში მეხანძრეებმა საბავშვო ატრაქციონზე გაჭედილი მამაკაცი გადაარჩინეს.

37 წლის პოლ კლარკი ცდილობდა თავის გოგონასთვის ეჩვენებინა, თუ როგორ უნდა დამჯდარიყო და გართობილიყო მოქანავე სავარძელ-შვეულმფრენზე.

– ჩემმა უმცროსმა ქალიშვილმა მკითხა, თუ ეს რა შვეულმფრენი იყო, – განაცხადა მამაკაცმა, – ის მასზე დაჯდომაზე უარს აცხადებდა, სანამ თავად არ ვაჩვენებდი თუ ეს როგორ კეთდებოდა.

კლარკის თქმით, ის ვიწრო სავარძელში ჩაჯდა, მაგრამ შემდეგ ამოსვლას ველარ ახერხებდა. ამის შემხედვარე ბავშვმა ჩათვალა, რომ ეს ყოველივე თავშესაქცევად გამოიყურებოდა და მისი ტელეფონის კამერით გადაღება დაიწყო. მამაკაცი თითქმის ნახევარი საათი ცდილობდა ატრაქციონიდან თავის დაღწევას. მან გაიხია შარვალი და დაემტვრა სმარტფონი. ბოლოს სასოწარკვეთილმა ტელეფონი შვილს გამოართვა და მაშველები გამოიძახა.

შემთხვევის ადგილზე მისულმა მეხანძრეებმა „შვეულმფრენს“ ფრთხილად მოხსნეს სახელურები, რომლებიც კლარკს ადგომაში ხელს უშლიდნენ და მამაკაცი გაათავისუფლეს.

– ზოგიერთი ფიქრობს, რომ მაშველები სულ ტყუილად შევაწუხე, მაგრამ დანამდვილებით შემიძლია იმის თქმა, რომ თავად თავს ვერაფრით დავაღწევდი, – აღიარა ბრიტანელმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# პოლიციელმა მამაკაცი მატარებლის ბორბლებქვეშ აღმოჩენისგან გადაარჩინა



ინდოეთში პოლიციელმა ბოლო მომენტში შეძლო მამაკაცის გადარჩენა, რომელიც ბაქანსა და მოძრავი მატარებლის შემადგენლობას შორის დარჩენილ ჭრილში ვარდებოდა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა საინფორმაციო სააგენტომ გაავრცელა.

კვირას, 19 მაისს, 45 წლის იამუნაპას მატარებელზე აგვიანდებოდა, რომელიც მცირე ხნით იყო ჩამომდგარი კარნატაკას შტატის ქალაქ ბელარის რკინიგზის სადგურზე. მამაკაცი შეეცადა უკვე დაძრულ მატარებელს შეხტომოდა, მაგრამ ფეხი დაუცდა და მატარებელსა და ბაქანს შორის სივრცეში დაიწყო ვარდნა.

იამუნაპას დასახმარებლად ბაქანზე მდგომი ერთ-ერთი მგზავრი და პოლიციელი მისცვივდნენ. მათ რამდენიმე წამში მოახერხეს მამაკაცი ამოყვანა და უეჭველ დაღუპვას გადაარჩინეს.

ამ ინციდენტის შედეგად მამაკაცი არ დაშავებულა, ხოლო პოლიციელი ჯილდოზეა წარდგენილი.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

**შევისყიდით წიგნებს!**

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ლევან კობიაშვილი: „ილოცონ, რომ სხვა სახელები არ ამოტივტივდეს“

სუსის მიერ საფეხბურთო მატჩების ჩაწყობის ფაქტზე 11 ფეხბურთელის დაკავებას ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა პრესკონფერენცია მიუძღვნა.

**ლევან კობიაშვილი:**

– ნამდვილად არ ვაპირებ იმ კომენტარის გაკეთებას, რომ „დაველოდებით გამოძიებას“. არ მაინტერესებს, ჩემთვის გამოძიება დაწყებულიცაა და დასრულებულიც. ჩვენ ფეხბურთის ფედერაცია, ჩვენი სადისციპლინო კომიტეტი აუცილებლად იმსჯელებს ამ საკითხზე და მიიღებს უმკაცრეს ზომებს, როგორც კონკრეტული პიროვნებების მიმართ, ასევე არ არის გამორიცხული კლუბების მიმართაც.

რატომ კლუბები? ჩვენ გვქონდა კომუნიკაცია ვიტ ჯორჯიას წარმომადგენლებთან საეჭვო ეპიზოდებთან და მატჩთან დაკავშირებით. ლაპარაკია ვიტ ჯორჯია-რუსთავის (2:3) შეხვედრაზე. იყო ლაპარაკი კონკრეტულ ფეხბურთელზეც, მაგრამ ამას არ მოჰყოლია რეაგირება. ჩვენ ყველა თამაშზე დავდივართ, მაგრამ კლუბებისგან გვჭირდება მხარდაჭერა.

ჩემთვის ამ ადამიანების ფეხბურთი დასრულებულია და რისი საშუალებაც მექნება, ყველაფერს გავაკეთებ, რომ მათ თამაში აეკრძალოთ.

კობიაშვილის თქმით, ერთადერთი დავალიანება, რაც ვიტ ჯორჯიას ჰქონდა, ის არის, რომ ბოლო 2 კვირის ხელფასი არ ჰქონდა გაცემული.

– მოვუწოდებ ყველას, მათ შორის მედიის წარმომადგენლებსაც, რომ ყოველთვის ისეთი მესიჯები გავაშუქოთ, რომელიც ხელს კი არ უწყობს მათ ქმედებებს, პირიქით. გთხოვთ, გვერდში დავუდგეთ ერთმანეთს, რომ ვებრძოლოთ ამ ყველაფერს, – განაცხადა კობიაშვილმა.

მან ქუთაისის ტორპედოზეც ისაუბრა.

– 2018 წელს ქუთაისური კლუბის ბიუჯეტი 10-11 მილიონი ლარი იყო და აქედან მხოლოდ 1.5 მილიონი იყო ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან. ჰქონდათ შემოსავალი და გაზარდეს სახელფასო ფონდი, რაც ღმერთმა შეარგოთ. თუმცა, შეექმნათ პრობლემები ინვესტორთან დაკავშირებით და ასეთ დროს, ხელი არ უნდა გავიშვიროთ ფედერაციისკენ. ჩემთვის გაუგებარია ის უაზრო კომენტარები, რაც ტორპედოს წარმომადგენლებმა გააკეთეს. რას ნიშნავს არ ვითამაშებ და გუნდი დაიშლება? გაცილებით ძლიერ ლიგებში ყოფილა 6-თვიანი დავალიანებები და ასეთი რამ არ მომხდარა. პატივი ვცეთ გუნდს, გულშემატკივრებს და მოვეშვათ ამ უაზრო კომენტარების კეთებას, – აღნიშნა ფედერაციის პრეზიდენტმა.

მან არ გამორიცხა, რომ ჩაწყობილ თამაშებთან დაკავშირებით შეიძლება სხვა სახელებიც გამოჩნდეს.

– მინდა ასევე ყველა გავაფრთხილო – არ გაბედონ მსგავსი რამ. ილოცონ, რომ თავიანთი გვარები არ აღმოჩნდეს იქ, – დასძინა ლევან კობიაშვილმა.




# საბურთალომ პირველობა დაიბრუნა, დინამო კრიზისშია

**საბურთალო-დინამო (თბ) 2:0**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

**1:0, 2:0 შინდაგორიძე (67, 75)**

**საბურთალო:** მიგინეიშვილი, მალი, მარგველაშვილი, ლაკვეხელიანი, კაკუბავა, გონსალვესი, შინდაგორიძე (გორგიაშვილი 78), ტერა, ალთუნაშვილი, დვალიშვილი (კოხრეიძე 61), გი (როლოვიჩი 66)

**დინამო:** პერალესი, რუხაია, მონხილი, მეჯუბი, კობოური, ქარდავა (პაპავა 61), შულაია (აზაროვი 70), ივანისენია, შენგელია (როხანო 82), ნინუა, კუტალია




საქართველოს ჩემპიონმა საბურთალომ ლამაზი გოლებითა და კარგი თამაშით თბილისის დინამოს 2:0 აჯობა და კვლავინდებურად ლიდერობს ჩემპიონატს.

დუბლი ლაშა შინდაგორიძემ გაიფორმა, რომელმაც ერთმანეთზე მაგარი გოლები გაიტანა და მინდორზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ამ გოლებით ლაშა ბომბარდირთა დავას ჩაუდგა სათავეში – მიმდინარე სეზონში საბურთალოელს 9 გატანილი ბურთი დაუგროვდა.

რაც შეეხება დინამოს – ქართული ფეხბურთის ფლაგმანს კრიზისი უდგას და ცუდ მდგომარეობაშია. სატურნირო ცხრილში მე-5 ადგილამდე დაქვეითდა და თუ ასე გააგრძელა, ევროტურნირებზე მოხვედრაც სათუო გაუხდება.

მატჩი მთლიანად მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა. საწყისი 15-20 წუთი საბურთალოელებისა იყო. თავიდან, ანგარიშის გახსნა შინდაგორიძეს შეეძლო, რომელმაც მცველთან ჭიდილში გამარჯვებული გამოვიდა, კარშიც დაარტყა, მაგრამ მეკარემ მოიგერია. თამაში ხშირ შემთხვევაში დინამოს ნახევარზე მიმდინარეობდა, ტაიმის შუაწელში კი გათანაბრდა.

მეორე ნახევარი სრულად საბურთალოელებისა იყო – მასპინძლებმა იერიშებს უმატეს, ხიფათს ხიფათზე ქმნიდნენ. ჯერ შინდაგორიძეს შეეძლო გატანა ახლო მანძილიდან, მაგრამ მისი დარტყმული ძელმა მოიგერია. მეორედ სტუმრები ისევ ძელმა გადაარჩინა, თუმცა უკვე ინტერს გის დარტყმის შემდეგ.

გოლი გარდაუვალი ჩანდა და 67-ე წუთზე გავიდა კიდეც.

გიორგი ჭიაბრიშვილის შეგირდებმა რამდენიმეშეხებიანი კომბინაცია გაითამაშეს, საჯარიმოს გარედან შინდაგორიძემ მარცხენა ფეხით უზუსტესი დარტყმა განახორციელა და ბურთი ცხრიანში ჩაჭედა.

მალე მასპინძლებმა მეორეც გაიტანეს – ცვლილებაზე შესულმა გიორგი კოხრეიძემ საჰაერო ორთაბრძოლა მოიგო, საჯარიმოში პასი გააკეთა, რის შემდეგაც შინდაგორიძემ ასევე მარცხენა ფეხით იმავ კუთხეში პერალესს ისევ გაუტანა.

დარჩენილ დროში საბურთალო აქტიურობდა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა – 2:0.

**რუსთავი-ტორპედო 2:4**

**რუსთავი. ტექნიკური ცენტრი**

**1:0 ციცქიშვილი (47), 1:1 ზივზივაძე (56), 1:2 ჯაფიაშვილი (67ავ), 1:3 ზივზივაძე (78), 1:4 წიქარიძე (88), 2:4 ციცქიშვილი (89)**

**რუსთავი:** მამარდაშვილი, ც.კაპანაძე, ლ.გადრანი, ჯაფიაშვილი, ფონიავა (ზვიადაძე 83), სილაგაძე, გუჯაბიძე (ჩოგაძე 79), კიტეიშვილი (ყიფიანი 67), ქოჩლაძე, ციცქიშვილი, იმნაძე

**ტორპედო:** კვასხვაძე, ხურცილავა, აზაცკი, მ.კობახიძე, ცინცაძე, გიგაური, ნ.ქავთარაძე, დოლიძე, ქიმაძე (ლუკა 76), თ.კაპანაძე (წიქარიძე 57), ზივზივაძე (ჭიჭინაძე 87)

3 ქულა მოიპოვა მე-14 ტურის შეხვედრაში ქუთაისის ტორპედომაც, რომელიც სტუმრად რუსთავს დაუპირისპირდა. მატჩის პირველი ნახევარი გატანილი გოლების გარეშე დასრულდა, მაგრამ მეორე ტაიმში გულშემატკივარმა 6 გატანილი გოლი იხილა.

ანგარიში ზაზა ციცქიშვილმა გახსნა, რომელმაც ქუთაისელი მცველების უყურადღებობით ისარგებლა და რუსთავი 47-ე წუთზე დააწინაურა.

წონასწორობა მალევე ბუდუ ზივზივაძემ აღადგინა, რომელმაც ბურთი ნოდარ ქავთარაძესთან გაითამაშა, საჯარიმოში შესულმა კი მცველები გააბითურა და ზუსტადაც დაარტყა.

67-ე წუთზე ტორპედო წინ ზურაბ ჯაფიაშვილის ავტოგოლის წყალობით გავიდა, თუმცა, გარჯა არც მერაბ გიგაურს უნდა დავუკარგოთ, რომელმაც საჯარიმოში კარგად ითამაშა.

78-ე წუთზე მასპინძელთა კართან პენალტი დაინიშნა, რომელიც ზივზივაძემ ზუსტად შეასრულა და სეზონში პირველი დუბლიც მიითვალა.

თამაშის მიწურულს ქუთაისელებმა კიდევ ერთი გოლი შეაგდეს. ამჯერად თავი თენგიზ წიქარიძემ გამოიჩინა. 89-ე წუთზე კი ზაზა ციცქიშვილმა მეორე გოლი გაუტანა ტორპედოს და მატჩიც ასე მორჩა – 2:4.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საბურთალო | 14 | 10 | 0 | 4 | 30-21 | 30 |
| 2.დინამო (ბთ) | 14 | 9 | 1 | 4 | 22-14 | 28 |
| 3.ტორპედო | 14 | 8 | 2 | 4 | 24-18 | 26 |
| 4.ჩიხურა | 14 | 5 | 7 | 2 | 20-11 | 22 |
| 5.დინამო (თბ) | 14 | 6 | 2 | 6 | 25-18 | 20 |
| 6.სიონი | 14 | 6 | 2 | 6 | 18-30 | 20 |
| 7.დილა | 14 | 5 | 2 | 7 | 12-13 | 17 |
| 8.ლოკომოტივი | 14 | 5 | 0 | 9 | 17-22 | 15 |
| 9.ვიტ ჯორჯია | 14 | 3 | 2 | 9 | 7-16 | 11 |
| 10.რუსთავი | 14 | 2 | 4 | 8 | 14-26 | 10 |

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალბასეტე-გრანადა ........................ 0:1

**იტალია. სერია ა**

ლაციო-ბოლონია ........................ 3:3

**სატურნირო ცხრილი;**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 37 | 28 | 6 | 3 | 70-28 | 90 |
| 2.ნაპოლი | 37 | 24 | 7 | 6 | 72-33 | 79 |
| 3.ატალანტა | 37 | 19 | 9 | 9 | 74-45 | 66 |
| 4.ინტერი | 37 | 19 | 9 | 9 | 55-32 | 66 |
| 5.მილანი | 37 | 18 | 11 | 8 | 52-34 | 65 |
| 6.რომა | 37 | 17 | 12 | 8 | 64-47 | 63 |
| 7.ტორინო | 37 | 15 | 15 | 7 | 49-36 | 60 |
| 8.ლაციო | 36 | 17 | 8 | 12 | 55-43 | 59 |
| 9.სამპდორია | 37 | 14 | 8 | 15 | 58-51 | 50 |
| 10.სასუოლო | 37 | 9 | 16 | 12 | 52-57 | 43 |
| 11.სპალი | 37 | 11 | 9 | 17 | 42-53 | 42 |
| 12.ბოლონია | 37 | 10 | 11 | 16 | 45-54 | 41 |
| 13.კალიარი | 37 | 10 | 11 | 16 | 35-52 | 41 |
| 14.პარმა | 37 | 10 | 11 | 16 | 40-59 | 41 |
| 15.ფიორენტინა | 37 | 8 | 16 | 13 | 47-45 | 40 |
| 16.უდინეზე | 37 | 10 | 10 | 17 | 37-52 | 40 |
| 17.ემპოლი | 37 | 10 | 8 | 19 | 50-68 | 38 |
| 18.ჯენოა | 37 | 8 | 13 | 16 | 39-57 | 37 |
| 19.ფროზინონე | 37 | 5 | 9 | 23 | 29-69 | 24 |
| 20.კიევო | 37 | 2 | 13 | 22 | 25-75 | 16 |

**შენიშვნა:** კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

**რუსეთი. პრემიერლიგა**

რუბინი-ანჟი ........................ 0:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ანკარაგიუჯიუ-სივასი ........................ 3:1

ერზრუმი-ფენერბახჩე ........................ 0:1

**დანია. სუპერლიგა**

ბრონდბიუ-მიდტიულანდი ........................ 4:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

აიკი-ფალკენბერგი ........................ 2:0

გიოტებორგი-ჰამარბი ........................ 0:0

ნორჩიოპინგი-სუნდსვალდი ........................ 2:0

ესტერსტუნდი-იორებრო ........................ 1:3

**ნორვეგია. ელიტსერია**

მიოლდე-ვიკინგი ........................ 5:1

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ვაასა-როვანიემი ........................ 0:1

ილვესი-მარიეჰამნი ........................ 0:0

კპვ-ჰიფკი ........................ 1:1

ლახტი-ჰიკი ........................ 3:0

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ქუთაისი ფინალში გავიდა

**ქუთაისი-დინამო 78:74**

**(24:19, 16:22, 19:11, 19:22)**

სუპერლიგის მეორე ფინალისტი საკალათბურთო კლუბი ქუთაისი გახდა. კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა ქუთაისელებმა ნახევარფინალური სერიის მე-5, გადამწყვეტ მატჩში დაძაბულ ბრძოლაში – 78:74 დაამარცხეს გასული სეზონის ჩემპიონი თბილისის დინამო და ფინალში გავიდნენ.

შეხვედრა საკმაოდ დაძაბული გახლდათ და ის ქუთაისელთა აქტიურობით დაიწყო, რომლებმაც საწყისი პერიოდი 24:19 მოიგეს. ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა დინამოელებმა მეორე ათწუთეულიდან თამაში გამოასწორეს, ხორვატი მეფარის, დემაგოი ბუბალოს შედეგიანობით პერიოდი 22:16 მოიგეს და დიდი შესვენებისთვის ქულით გალიდერდნენ – 41:40.

მესამე ათწუთეულის დებიუტში დავით ლომიძისა და გიორგი ბარბაქაძის 3-ქულიანებით, ასევე ელჯეი ბუსისა და ჯონათან ლის ზუსტი ტყორცნებით ქუთაისელებმა ლიდერობა დაიბრუნეს და 12 ქულით გალიდერდნენ – 59:47. დინამოელებმა მალევე შეძლეს მობილიზება და პერიოდის ბოლომდე ჩამორჩენა 9 ქულამდე შეამცირეს, 2-წუთიანი შესვენების შემდეგ კი ჯორდან სვოპშირისა და მიხეილ ჭოჭუას მექულეობით დეფიციტი აღმოფხვრეს და დაწინაურდნენ კიდეც – მატჩის დასრულებამდე 4 წუთით ადრე დინამოელები 69:67 გალიდერდნენ.




ამის შემდეგ ქუთაისის სნაიპერის, გიორგი ბარბაქაძის ჯერი დადგა. ბარბაქაძემ 2 სამქულიანი ჩააგდო, რომელთა შორისაც ჯონათან ლიმაც იხეირა და დასრულებამდე 80 წამით ადრე მასპინძლებმა 6-ქულიანი ლიდერობა მოიპოვეს – 75:69.

ეს ფაქტობრივად ქუთაისელთა გამარჯვებას ნიშნავდა, თუმცა დინამო არ ტყდებოდა... ლევან გრძელიძემ 3 ცდიდან მხოლოდ 1 საჯარიმო ჩააგდო, თუმცა პრესინგის წყალობით თბილისელებმა ბურთი მოიპოვეს და გრძელიძის ჩაჭრის შემდეგ სვოპშირმა 3-ქულიანით ჩამორჩენა 2 ქულამდე შეამცირა საპასუხოდ ლომიძემ მხოლოდ 1 საჯარიმო მიითვალა და 73:76 ჩამორჩენილ თბილისელებს 3-ქულიანით ანგარიშის გათანაბრება შეეძლოთ, მაგრამ სირენამდე 10 წამით ადრე ვოვა თავაქარაშვილის სროლა არაზუსტი აღმოჩნდა და ფარიდან ასხლეტილ ბურთს მასპინძლები რომ დაეპატრონნენ, მატჩის ბედიც გაირკვა.

გამარჯვებულთაგან 21 ქულით ყველაზე შედეგიანი ჯონათან ლი გახლდათ. 18 ქულა აკაკი დვალიშვილის, ხოლო 15 – დავით ლომიძის ანგარიშზეა. დინამოელთაგან 25 ქულით დემაგოი ბუბალო გამოირჩა, ჯორდან სვოპშირის ანგარიშზე 19 ქულა დაგროვდა.

დინამო მესამე ადგილისთვის მატჩში 26 მაისს მგზავრებს შეხვდება. საჩემპიონო სერია კი, რომელიც 3 მოგებამდეა, 23 მაისს დაიწყება და მასში ერთმანეთს ქუთაისი და დელტა დაუპირისპირდებიან. იმერულ კლუბს, რომელმაც რეგულარულ ჩემპიონატში პირველი ადგილი დაიკავა, მოედნის უპირატესობა ექნება და 23-24 მაისს 2 მატჩს იმ დარბაზში ჩაატარებს, რომელშიც ფინალის საგზური მოიპოვა.

# ვიქტორ კოლელიშვილი: „არასოდეს დავნებდები“

ვიქტორ კოლელიშვილს საქართველოს ნაკრებში 50 მატჩი აქვს ჩატარებული და 5 ლელო გატანილი. ქართველი მორაგბე ფრანგული კლერმონის ღირსებას 2011 წლიდან იცავს. თუმცა, აგერ ნახევარ წელიწადზე მეტია, ჩვენებური მოედანზე არ გამოჩენილა. ამის მიზეზი ტრავმაა.

ფრანგული მედია კოლელიშვილს ჯანმრთელობის შესახებ ესაუბრა, რაც ჩვენთვისაც საინტერესო თემაა.

***– ბოლოს 6 ოქტომბერს ლა როშელთან ითამაშეთ, რის შემდეგაც მოედანზე აღარ გასულხართ. რა ხდება?***

– შეჯახებისას მძიმე ტრავმა მივიღე. მატჩის შემდეგ, არ შემეძლო მეთქვა, რა ანგარიში იყო, ვინ იყო მეტოქე ან სად ჩატარდა მატჩი. ამას თან დაერთო ხედვის პრობლემები. დიდხანს ერთ საგანზე კონცენტრაციას ვერ ვახერხებდი. შაკიკი მქონდა. რაგბის გარეშე ყოფნა კიდევ უფრო რთული იყო.

***– პირველად ტვინის შერყევა როდის მიიღეთ?***

– 2015 წლის მსოფლიოს თასის დასრულების შემდეგ, ტვინის შერყევა სულ 5-ჯერ თუ 6-ჯერ მივიღე. პირველად ვფიქრობდი, რომ ეს სერიოზული არ იყო. ცნობიერება არ დამიკარგავს და განსაკუთრებული სიმპტომებიც არ მქონია. ექიმებთან საუბრის შემდეგ მე ვიცი, რომ ნებისმიერი ტვინის შერყევა შეიძლება სერიოზული იყოს.



***– თქვენს მწვრთნელს, ფრენკ აზემას თქვენი მინდორზე დაბრუნების ეშინია?***

– შესაძლოა ითქვას, კიც და არაც. ვფიქრობ, ის მართალია. მას სურს, რომ მე დამიცვას ტრავმისგან, მაგრამ ისიც ვიცი, რომ მოედანი ჩემი საუკეთესო წამალი იქნება.

***– ახლა ვარჯიშობთ?***

– მსურდა ვარჯიშის განახლება, მაგრამ ჯერ მოცდა მირჩევნია. სავარჯიშო მეთოდები შევცვალე. ერთი წლის წინ, ბევრს ვვარჯიშობდი, მაგრამ ახლა იმდენი არ შემიძლია.

***– ქირურგები რას ამბობენ?***

– ზოგი ექიმი რას ამბობს, ზოგი რას, მაგრამ ყველა თანხმდება, რომ დაბრუნებამდე ცოტა უნდა მოვიცადო. მე არასდროს დავნებებულვარ და არასდროს დავნებდები.

# მოსწავლე არასაკმარისად ვარდისფერი სამოსის გამო სახლში გაუშვეს

ახალი ზელანდიის კუნძულ ჩრდილოეთის ქალაქ ჰელენსვილში მოსწავლე სახლში იმის გამო გაუშვეს, რომ ვარდისფერი პერანგის დღეს არასაკმარისად ვარდისფერი სამოსი ეცვა.

ბავშვის დედამ კლარ ლეალიფანომ მომხდარის შესახებ ფეისბუქში საკუთარ გვერდზე დაწერა.

– ეს იყო ვარდისფერი პერანგების დღე. ბუნებრივია, რომ ბიჭებს ვარდისფერი სამოსი ნაკლებად აქვთ, – ამბობს ქალი, – ჩემმა შვილმა ჩაიცვა მაისური, რომელსაც ზურგზე ვარდისფერი ორნამენტები აქვს.

მისი თქმით, ბიჭი აიძულეს სახლში დაბრუნებულიყო და სასკოლო ფორმაში გამოწყობილიყო, ვინაიდან მისი სამოსი საკმარისად ვარდისფერი არ აღმოჩნდა.

– ელექტრონულ ფოსტაზე წერილი მივიღე ე.წ. მასწავლებლისგან. ის დამემუქრა, რომ თუ ჩემი შვილი სკოლაში არ დაბრუნდებოდა, ამის შესახებ სასწავლებლის ხელმძღვანელს აცნობებდა, – განმარტა ქალმა.

განათლების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მომხდართან დაკავშირებით განაცხადეს, რომ მათ უკვე დაიწყეს ინციდენტის ფაქტზე დამოუკიდებელი გამოძიება.

# გააფთრებულმა სპილომ სპლიყვის გამო შური იძია

ინდოეთის დასავლეთ ბენგალიის შტატში სპილომ ადამიანი გასრისა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

რამდენიმე დღის წინ სოფელ აინაშულის მცხოვრებლებმა შეიტყვეს, რომ ერთ-ერთ დამშრალ ტბაში სპილომ იმშობიარა და გადაწყვიტეს ენახათ. ცხოველი ცდილობდა თავის ახალშობილს ფეხზე წამოდგომაში დახმარებოდა, რომ შემდეგ ტყისთვის შეეფარებინათ თავი, მაგრამ სპლიყვი ჯერ ძალიან სუსტად იყო და ამიტომ ფეხზე წამოდგომას ვერ ახერხებდა, რის შემდეგაც ადამიანებმა მას ქვების სროლა დაუწყეს.

ამან დედა სპილო გააცოფა და ღრიალით შეეცადა ადამიანები გაეფრთხილებინა, რომ მათგან თავი შორს დაეჭირათ, მაგრამ ადგილობრივებმა მისი გაფრთხილება ყურად არ იღეს. გააფთრებული ცხოველი მათ თავს დაესხა და 27 წლის მამაკაცი სახელად შაილენ მაჰატო გასრისა.



მომხდარის შედეგად ვითარება სოფლის გარშემო დაიძაბა, ადამიანებზე სანადიროდ კიდევ რამდენიმე გააფთრებული სპილო გამოვიდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ახლა ისინი ტყეში დაძრწიან და მორიგ მსხვერპლს ეძებენ. ადგილობრივმა ხელისუფლებამ სოფლის მცხოვრებლებს ტყეში შესვლა იმ დრომდე აუკრძალა, სანამ ცხოველები არ დამშვიდდებიან და იქაურობას არ გაეცლებიან.

*მოამზადა*
*კახა ხატიაშვილმა*

# ქალმა შეყვარებული მოულოდნელი მშობიარობით შეაშინა



შოტლანდიის ქალაქ ფოლკერკის მცხოვრებმა ქალმა, რომელმაც არც კი იცოდა, რომ ფეხმძიმედ იმყოფებოდა, მოულოდნელად იმშობიარა.

20 წლის სტეისი პორტერმა მუცლის არეში კრუნჩხვები იგრძნო. იმ დროს მის შეყვარებულ დევიდ ჯონსტონს დივანზე ეძინა. გამთენიისას მამაკაცმა თვალი გაახილა და თავისი ტელეფონის ეკრანზე, რომელიც უხმო რეჟიმზე ჰქონდა დაყენებული, პორტერის 60 გამოტოვებული ზარი შენიშნა. რამდენიმე წამში გოგონამ ისევ დაურეკა და უთხრა: „ზევით ამოდი, ვიმშობიარე“.

– ყველაფერი თითქოსდა ბურუსით იყო მოცული, ვგონებ ყვირილის თუ ტირილის ხმამ გამაღვიძა, – იხსენებს დევიდი. ის სააბაზანო ოთახისკენ გაემართა, ვინაიდან სწორედ იქ იმყოფებოდა სტეისი და სასწრაფო დახმარება გამოიძახა.

– პარამედიკოსმა ჩანთის ჩასალაგებლად გამგზავნა. ჩემთვის აუხსნელი მიზეზით კი, ნივთების შესაგროვებლად რატომღაც მაცივრის კარი გამოვაღე, – განმარტა მამაკაცმა, – დღემდე ვერ ვახერხებ იმ ემოციების აღწერას, რომელთაც მაშინ განვიცდიდი.

პოტერის თქმით, მშობიარობამ საკმაოდ სწრაფად და უმტკივნეულოდ ჩაიარა. სოფია გრეისის დაბადებიდან რამდენიმე წუთში მასთან ჯონსტონმა მიირბინა.

ახალგაზრდა დედის თქმით, ის ბავშვის დაბადებამდე ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებს იღებდა და ბავშვის გაჩენა დაგეგმილი არ ჰქონია. ექიმების დასკვნის თანახმად, დედაც და ბავშვიც აბსოლუტურად ჯანმრთელები არიან.

# მოზარდმა შემთხვევით ისტორიამდელ არსებას მიაგნო

ამერიკის აიოვას შტატში მოზარდმა ისტორიამდელი არსების ჩონჩხის ნაწილს მიაგნო. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ინტერნეტ-გამოცემა ავრცელებს.

მოზარდი ადგილობრივი ფერმის ტერიტორიაზე ისრის ბუნიკებს ეძებდა, რა დროსაც 76 სანტიმეტრი სიგრძის ძვალს მიაგნო. მიწისმფლობელები აიოვის უნივერსიტეტის წარმომადგენლებს დაუკავშირდნენ და მათ ნაპოვნი გაუგზავნეს. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ძვალი მასტადონტს ეკუთვნის – ცხოველს, რომელიც დაახლოებით 10 ათასი წლის წინ გადაშენდა.

ფერმერების წყვილმა ნაპოვნი აიოვას პალეონტოლოგიის უნივერსიტეტს შესწირა. მათ ვინაობის გამხელისგან თავი შეიკავეს, რათა ამით მათ სამფლობელოში გარეშე პირთა შემოჭრა თავიდან აიცილონ. აღსანიშნავია, რომ დაახლოვებით 30 წლის წინ მათ საკუთარი ფერმის ტერიტორიაზე ასევე იპოვეს მამონტის ძვლები.



# ვეფხვმა მამაკაცი დაგლიჯა



ინდონეზიის ჩრდილოეთ სუმატრას პროვინციაში ვეფხვმა ადგილობრივი მცხოვრები მოკლა.

რამდენიმე დღის წინ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა პოლიციელებთან ერთად 61 წლის პლანტაციებზე მომუშავე აბუსალი ჰასბუანის ცხედარი აღმოაჩინეს. დაღუპულის ოჯახმა მას შემდეგ ატეხა განგაში, როდესაც ის სამუშაოდან სახლში არ დაბრუნდა.

ცხედარს მარჯვენა ხელი აკლდა, ხოლო თავს სხეულიდან 50 მეტრში მიაგნეს.

სავარაუდოდ მამაკაცს თავს ვეფხვი დაესხა, რომელიც ბოლო დროს ხშირად ესხმის თავს მეზობელ სოფლებს. ადგილობრივები თვლიან, რომ სწორედ მან გაანადგურა მთელი ნახირი.

ჰასბუანის ცხედარი ექსპერტიზის ჩასატარებლად ქალაქ სიბუხუანის საავადმყოფოში გადაასვენეს. ხელისუფლება ახალი მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად ვეფხვის პოვნას ცდილობს.

**ნანა ქიბროწაშვილი – ფირმა „იადიგარ დაუდის“**
დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: **ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრები და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა.**
**მის.: წერეთლის 57, II სად, II სართული, ოფისი 7.**
**☎ 599-498-423 - ნანა. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით**

# ასტროპროგნოზი

## 22 მაისისთვის



**ვერძი** – საკუთარ ჯანმრთელობას ყურადღებით მოეკიდეთ. ზომიერად დაკავდით სპორტით. **კურო** – საქმიანი კონტაქტებისათვის შესაფერისი დრო არ არის. ახალი ნაცნობობა ნეგატიურ შედეგს გამოიღებს. **ტყუპები** – მიზნის მიღწევისთვის საბრძოლველად არაკეთილისმყოფელი დღეა. ერიდეთ სარისკო ფინანსურ ოპერაციებს. **კირჩხიბი** – დღეს ყველაზე არასასიამოვნო, რაც კი შეიძლება შეგემთხვეთ, ახლობელთან კამათი იქნება. მთლიანობაში, პოზიტიური პერიოდია. **ლომი** – ნებისმიერ დაბრკოლებას გადალახავთ, რაშიც თქვენი ენერგიულობა და პრინციპულობა დაგეხმარებათ. **ქალწული** – ძალზე კეთილისმყოფელი დღეა ახალი საქმის დასაწყებად, შემოქმედებითი არეალის გასაფართოებლად. **სასწორი** – დაგროვილი ყოფითი პრობლემები დაუყოვნებლივ მოაგვარეთ, საღამოს კი გაისეირნეთ სუფთა ჰაერზე, გაერთეთ მეგობრებთან ერთად. **ღრიანკალი** – თუ გონიერი ადამიანის რჩევას არ გაითვალისწინებთ, დაზარალდებით. შინაგან დაძაბულობას თავს მარტივად ვერ დააღწევთ. **მშვილდოსანი** – აქტიურად დაისვენეთ. მცირეოდენი ფიზიკური დატვირთვა სასარგებლო იქნება. **თხის რქა** – ენთუზიაზმით ხართ სავსე. გსურთ, ყველა საქმე ერთბაშად გააკეთოთ. ბედი გწყალობთ. **მერწყული** – საქმიანი შეხვედრები წარმატებას მოგიტანთ. ცივი გონებით იმოქმედეთ. **თევზები** – პირად ცხოვრებაში პრობლემები შეგექმნებათ. მეტი დრო დაუთმეთ ბავშვებთან ურთიერთობას.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ფრანგი დრამატურგი, „სევილიელი დალაქის“ ავტორი; 2. უსქესო, ვეგეტატიური გზით წარმოშობილი შთამომავლობა; 3. ფანქრების მწარმოებელი ჩეხური ფირმა; 4. თვითმფრინავების სადგომი; 5. რაიონული ცენტრი კახეთში; 6. ქართული ნაციონალური კერძი; 11. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 13. მაღალხარისხოვანი შალის საკოსტუმე ქსოვილი; 14. დანიელი მეზღაპრე; 15. საგნების, მოვლენების ურთიერთკავშირი, ურთიერთდამოკიდებულება; 17. საგანგებოდ გამოყვანილი, შებოლილი ღორის ხორცი; 18. ამერიკის სტეპებში გავრცელებული მგელი; 19. ფულის ერთეული ალბანეთში.

**თარაზულად:** 7. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო; 8. ფოტოხელოვნების ფუძემდებელი საქართველოში; 9. არგონავტთა მეთაური; 10. კორიდის ცხენოსანი მონაწილე; 12. შვეიცარიაში გამოყვანილი, სამაშველო საქმისთვის განკუთვნილი დიდი ტანის ძაღლი; 14. მწვავე სუნის მქონე მძაფრი აირი, ნიშადურის სპირტი; 16. ამირანის პროტოტიპი აფხაზურ ფოლკლორში; 18. ქვეყნის ყველა მდინარის რესურსების მონაცემთა სისტემატიური კრებული; 20. სუნამოების მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 21. ტერიტორიული ერთეული თურქეთში; 22. მოკლებეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში; 23. ხმელთაშუა ზღვისპირა კურორტი საფრანგეთში; 24. პოპულარული კაფე-რესტორანი ძველ თბილისში, ხელოვანთა თავშეყრის ადგილი.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. აკაპელა; 2. ფილტრი; 3. იოსელიანი; 4. ბუშელი; 5. თეთნულდი; 7. ბრნო; 11. ტროტილი; 13. დოვლათი; 15. ივერი; 16. კონტე; 18. რუმბი; 19. სენტო.

**თარაზულად:** 6. კოვბოი; 8. სისტოლა; 9. ქაშვეთი; 10. ესკორტი; 12. ნიყვი; 14. დიბალა; 17. ნოვარტისი; 20. უნისონი; 21. არმაზი; 22. ბენტლი; 23. აერობუსი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. გლისადა; 2. დვალი; 3. იუკატანი; 4. პუდელი; 5. მთავარი; 6. ჯინჯილა; 11. კიქსი; 13. პრომეთე; 14. პარანგონი; 15. კონტრალტო 17. ელიავა; 18. მირაჟი; 19. მოლა.

**თარაზულად:** 7. ალიევი; 8. მუჯურეთული; 9. ასკილი; 10. ხაბელოვი; 12. შამპინიონი; 14. პლისკა; 16. აერობუსი; 18. მარიჯანი; 20. კრონა; 21. არა; 22. პანთეონი; 23. ხულო; 24. ბატალიონი.

# ნატო გელაშვილი: „იოლს ნუ ვაქცევთ რთულად!“



მომღერალ ნატო გელაშვილს მიაჩნია, რომ ადამიანს ღირსება და თავმოყვარეობა რომ შეელახოს, პირველ რიგში, ორივე მათგანი უნდა გააჩნდეს:

– ადამიანს ღირსება და თავმოყვარეობა რომ შეელახოს, სულ მცირეოდენი რამ არის საჭირო, უნდა გააჩნდეს მას ღირსებაც და თავმოყვარეობაც.

ფერთა სიუხვე თვალს გვიჭრელებს გარდამავალი, მაგრამ ყველა ფერს მისი ხიბლი აქვს და ვის რომელი ფერი მოსწონს და ვინ რომელ ფერს ირჩევს ცხოვრების ფერად.

დამეტრაბახება სხვების დამარცხებით არასოდეს მიგრძნია თავი გამარჯვებულად. ამხელა ფუფუნება არასოდეს მიმიცია ჩემი თავისათვის. ყველა ურთიერთობას, ისევე, როგორც ყველა ადამიანს, თავის ბედისწერა აქვს და ნურასოდეს ვეცდებით სხვისი ცხოვრების მორგებას, რომ საკუთარ ცხოვრებას ღირებულება არ დავაკარგვინოთ.

უბრალოდ გვიყვარდეს ერთმანეთი. იოლს ნუ ვაქცევთ რთულად!

# მუცოს რეაბილიტაციის პროექტმა ევროპული მემკვიდრეობის პრიზი მოიპოვა




ევროკომისიამ და ევროპა ნოსტრამ შემოქმედებითი ევროპის პროგრამით დაფინანსებული კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის სფეროში ევროპის უმაღლესი აღიარების ევროპული მემკვიდრეობის პრიზის, ევროპა ნოსტრას ჯილდოს 2019 წლის გამარჯვებულები გამოავლინა. წლევანდელ გამარჯვებულთა შორისაა ციხე-სოფელი მუცოს რეაბილიტაციის პროექტი.

– ეს პროექტი ეხმიანება მთის თემების დეპოპულაციის პრობლემას, გამოწვევას, რომლის წინაშეც მთელი ევროპა დგას. ამ მემკვიდრეობის რესტავრაციამ განაპირობა ადგილობრივი თემის ცნობიერების ამაღლება მათი არამატერიალური მემკვიდრეობისა და კავკასიელი ხალხის ისტორიის შესახებ, რამაც, თავის მხრივ, წაახალისა მემკვიდრეობასთან მათი ურთიერთობის აღდგენა. პრიორიტეტად იქნა მიჩნეული ტრადიციული ხელოსნობის გაგრძელება, რაც უზრუნველყოფს მის სამომავლო შენარჩუნებას. მისასალმებელია რეაბილიტაციის გზაზე მრავალი გამოწვევის, მათ შორის, რთული რელიეფისა და ინფრასტრუქტურის სიმწირის დაძლევა, – აღნიშნულია ჟიურის შეფასებაში.

ევროკომისიისა და ევროპა ნოსტრას აღიარება 16 ქვეყნის 25 ლაურეატმა მოიპოვა ნომინაციებში: კონსერვაცია, კვლევა, განსაკუთრებული ღვაწლი, განათლება, სწავლება და ცნობიერების ამაღლება.

ლაურეატების დაჯილდოების ცერემონია გაიმართება 29 ოქტომბერს, პარიზში, ევროპული მემკვიდრეობის დაჯილდოების გადაცემის ცერემონიაზე, რომლის თანამასპინძლები არიან ევროკომისარი ტიბორ ნოვრაჩიჩი და მაესტრო პლასიდო დომინგო.

ღონისძიება ორგანიზებულია საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის, ემანუელ მაკრონის, პატრონაჟით.

# გელა ჩარკვიანმა გოიმობის დასადგენი ტესტი შეადგინა



გელა ჩარკვიანმა გოიმობის დასადგენი ტესტი შეადგინა:

– მახსოვს, ახალგაზრდობაში შევქმენი, ასე ვთქვათ, გოიმობის კოეფიციენტის დამადგენელი სოციო-ლინგვისტური ტესტი.

მისი ჩატარების შედეგებმა დამარწმუნა, რომ, როცა კაცი ამბობს – შიკალადი, ველისაპეტი და სიფილისტი, მასთან სერიოზულ თემებზე კამათი წყლის ნაყვაა.

# თამთა გოდუაძე ქართველებს: „არ გაქვთ პირადად ჩემთან საბოდიშო არაფერი“



ასე მიმართავს ქართველი მომღერალი თამთა გოდუაძე ქართველებს. თამთა ევროვიზიაზე კვიპროსს წარადგენდა და მას ევროვიზიის ქართულმა ჟიურიმ 6 ქულა დაუწერა.

ამის გამო რიგითმა მსმენელებმა მომღერალს ბოდიში მოუხადეს.

თამთამ ინტერნეტში სპეციალური განცხადება გაავრცელა:

– ჩემო კარგებო, მინდა ულრმესი მადლობა გადაგიხადოთ თქვენი მხარდაჭერისთვის და მინდა იცოდეთ, რომ არც ერთი წამით ეჭვი არ შემპარვია იმაში, რომ ჩემ გვერდით დადგებოდით!

უამრავი თქვენგანი ბოდიშს მიხდის. არ გაქვთ პირადად ჩემთან საბოდიშო არაფერი. ვწუხვარ, რომ ხუთმა, ათმა, თუ რამდენიც იყვნენ, ადამიანმა თავი გაგიხადათ საბოდიშო ჩემთან, და ვწუხვარ ყველაზე მეტად იმაზე, რომ მე მომიწევს ამ 5/10 ადამიანის გამო, ჩემი ქვეყნის და ერის მართლება ძირითადად ბერძნებთან, კვიპროსელებთან, და არა მხოლოდ. მე ამასაც კარგად მოვახერხებ... თქვენ არ ინერვიულოთ!

გიყვარდეთ ერთმანეთი!

# გეგეშიძის ბაღში მდგარი მონუმენტი გავერანებულია



თბილისში, გეგეშიძის ბაღში მდგარი მონუმენტი გავერანებულია.

ინფორმაცია ამის შესახებ მოქანდაკე ირაკლი ჟვანიამ გაავრცელა:

– გეგეშიძის ბაღი. გავერანებული მონუმენტი. ავტორი ბატონი თამაზ თევზაძე. თბილისის მერია, ვაკის რაიონის გამგეობა, მიაქციეთ ყურადღება, აღსადგენია აუცილებლად.

# მარიკო ლეჟავა: „შეგიძლიათ ყველა ბრუნვაში გამლანძლოთ“



ევროვიზიის ქართული ჟიურის ერთ-ერთი წევრი, მომღერალი მარიკო ლეჟავა თამთა გოდუაძისთვის 6 ქულის დაწერის გამო ატეხილ აჟიოტაჟს ინტერნეტში ეხმაურება:

– ორი დღეა ვდუმვარ მართლა, აი, ვდუმვარ ამ საზიზღრობაზე, რაც ჩემ გარშემო ხდება! მართლა არ ვიცი, ამხელა ზიზღი საიდან გაქვთ დაბუდებული, აი, ვერაფრით გამიგია...

ქართველის გვერდში დგომას რომ ამბობთ! აი, რომ გაკივით ამ ფრაზას, ოთო ქართველი არ იყო? თუ ფრანგი იყო? თქვენი წარმომადგენელი სანამ წავიდოდა, მაქამდე გაანადგურეთ გინდა მორალურად, გინდა სულიერად! თქვენ არ ხართ ეგ ქართველები? არც ერთი ცუდი და სალანძღავი სიტყვა არ დაგიშურებიათ „ქართველისთვის“ და ახლა არის ქართველის გვერდში დგომა პირველი და წმინდა?

ან ის ადამიანები, ვისზეც ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ მსგავს კომენტარს გააკეთებდა, რაზე ფიქრობთ, ან რას აკეთებთ საერთოდ? რას ამტკიცებთ ჩემი გალანძღვით... თქვენი ნებაა აბსოლუტურად, რას იტყვით ჩემზე, ან ჩემს უნიჭობაზე! მაგრამ მე ვიჯექი ჟიურის სკამზე, მე მეჭირა პასტა ხელში და მე დავწერე ქულა! არავის საქმე არ არის, მე რა გავაკეთე, როგორც სწორად ჩავთვალე, ისე მოვიქეცი...

არანაირი შური და ბოღმა არ მამოძრავებდა, უბრალოდ, ვინც მიცნობს, მათ ხომ იციან და, აი, ვინც არ მიცნობს, ეგ ნაკლებად მადარდებს... ცხოვრებაში არასდროს შური და ბოღმა არ მამოძრავებდა და არასდროს შემიპყრობს ეგ გრძნობა, რასაც ბევრზე ვერ ვიტყვი...

მარტივად ხელწამოსაკრავი ვარ? აი, ისე ძალიან ცდებით, რომ მეტი არ შეიძლება... ეს ის დრო იყო, აი, კაკრას მეგობრობით და ახლობლობით რომ ხდებოდა ყველაფერი, თქვენი დრო... და მე იმიტომ ჩამქოლეთ, რომ კარგ მუსიკას მივეცი ხმა? დაე! კიდევ იგივენაირად მოვიქცეოდი, იმ დღეს რომ დამაბრუნა.. ძალიან მართალი ვარ ჩემს თავთან და სინდისიც არ მაწუხებს...

შეგიძლიათ ყველა ბრუნვაში გამლანძლოთ და ყველაფერი მიწოდოთ, არაფერი მაქვს სამტკიცებელი... მუსიკა ძალიან მიყვარს, მეტი რომ არ შეიძლება, ისე... მაპატიეთ, რომ მიკერძოებული არ ვიყავი.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# მამაკაცი ათი წელი ერთსა და იმავე ნომრებს ათამაშებდა და ბოლოს ჯეკპოტი მოხსნა

ამერიკის მიჩიგანის შტატის ოკლენდის ოლქის მცხოვრები ათი წლის განმავლობაში ლატარიის ბილეთებში ერთსა და იმავე ნომრებს წერდა და ბოლოს ჯეკპოტი მოხსნა.

– ნომრები, რომლებსაც მე თამაშში ვიყენებდი, მნიშვნელოვანი თარიღებისა და ბედნიერი რიცხვების კომბინაციას წარმოადგენდა, – განმარტა 42 წლის მამაკაცმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, – საზღვარგარეთ წასვლამდე ბილეთები წინასწარ მოვიმარაგე, რომ გათამაშება არ გამომეტოვებინა. რა ბედნიერი ვარ, რომ ეს გავაკეთე.

გათამაშების შედეგების გამოცხადების შემდეგ მამაკაცმა შეიტყო, რომ მისმა მოგებამ 100 ათასი დოლარი შეადგინა.

– სამშობლოში ჩამოფრენისთანავე პირდაპირ აეროპორტიდან წავედი ლატარიის ოფისში ჩემი ფულადი მოგების მისაღებად. უბრალოდ დაცდა არ შემეძლო, – აღიარა ამერიკელმა.

აზარტული თამაშების მოყვარული მამაკაცი აპირებს მოგებული თანხა ბინის შესაძენად დახარჯოს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# მილიარდერმა სტუდენტური ვალების დაფარვის პირობა დადო



ამერიკელი მილიარდერი რობერტ სმიტი კოლეჯის სტუდენტების წინაშე სიტყვით გამოდიოდა, როდესაც მოულოდნელად განაცხადა, რომ ის მათ სტუდენტურ ვალებს დაფარავდა.

ბიზნესმენი ჯორჯიის შტატის ქალაქ ატლანტის ორჰაუსის მამაკაცების კოლეჯის სტუდენტების წინაშე სიტყვით კვირას 19 მაისს გამოვიდა. მან პირობა დადო, რომ გახსნის ფონდს, რომელიც მთლიანად დაფარავს ისტორიული აფროამერიკული კოლეჯის ბოლო კურსის სტუდენტების დავალიანებას.

– ჩემი რვა თაობის სახელით, რომელიც ამ ქვეყანაში ცხოვრობდა, ჩვენ ვაპირებთ საწვავი ჩაგისხათ თქვენ ავტობუსში, – განაცხადა სმიტმა და შემდეგ დაამატა, რომ მისი სურვილია, ყველა სტუდენტმა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება.

მსმენელები ბიზნესმენის განცხადებას ფეხზე წამომდგარი და ოვაციებით შეხვდნენ.

ჯერჯერობით ცნობილი არ არის თუ რა თანხა დასჭირდება ყველა, 396 სტუდენტის ვალების დაფარვას. სავარაუდოდ სმიტს რამდენიმე ათეული მილიონი დოლარის გადახდა მოუწევს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# სამგლოვიარო განცხადებები



სპორტული საზოგადოება, ჭიდაობის ფედერაცია, ვეტერანი მოჭიდავეები და მისი აღზრდილები დიდი მწუხარებით იუწყებიან წარსულში ცნობილი მოჭიდავის, საქართველოსა და სსრკ-ის დამსახურებული მწვრთნელის, ჭიდაობის დიდი პატრიარქის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების მრავალი ჩემპიონის აღმზრდელის

**მარლენ ოსიყმაშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

**პანაშვიდი:** 22 მაისს, ვაჟა-ფშაველა, III კვარტალი, I კორპუსი.

**დაკრძალვა:** 23 მაისს, 14 საათზე, სოფელ კოდაში

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

22 მაისისთვის

აშშ დოლარი — 2.7676

ევრო — 3.0848

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5135

100 რუსული რუბლი — 4.2559

## ამინდის პროგნოზი 22 მაისისთვის




## „ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

## „მე მიყვარს კითხვა“

**14 მაისიდან**

**ქართული მითები**

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი




**21 მაისიდან**

ძმები გრიმები

**ზღაპრები**

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი




**10 მაისიდან**

ლევ ტოლსტოი

**ომი და მშვიდობა**

ტომი IV

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი




## იუმორი

ნაცნობი ახალგაზრდას ეკითხება:

– რას შვრები, როგორ ცხოვრობ?

– ისე რა, ხელფასიდან ხელფასამდე.

– სად მუშაობ?

– არსად, უბრალოდ მამის ხელფასიდან, დედის ხელფასამდე.

•••

შვილი დედას ეუბნება:

– დედა, დღეს სახლში ერთდროულად სამ გოგონას მოვიყვან და შეეცადე გამოიცნო, მათში რომელია ჩემი საცოლე.

საღამოს ბიჭმა სამი გოგონა ქერათმიანი, შავგვრემანი და წითურთმიანი მოიყვანა. საღამომ შესანიშნავად ჩაიარა. ყველანი კმაყოფილები დარჩნენ. როდესაც ყველა წავიდა, შვილი დედას ეკითხება:

– დედა, აბა, შენი აზრით, რომელი იყო ჩემი საცოლე?

– ეჭვგარეშეა წითურთმიანი.

– დედა, როგორ გამოიცანი?

– თავიდანვე არ მომეწონა...

•••

დილით მამაკაცს მძიმე „პახმელიაზე“ ეღვიძება, გვერდით მწოლიარე ქალს დაინახავს და ეკითხება:

– შენ ვინ ხარ?

– ნეტა სად ვარ?

•••

მაღაზიაში შესულ მიხოს ქათმის სახელი დაავიწყდა, გამყიდველს კვერცხზე მიანიშნა და ეკითხება:

– დედამისი სად არის?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კახა ჩხეტიანი: „ჩემი ფეხბურთელები ნამდვილი ვაჟკაცები არიან“



ქუთაისის ტორპედოს მთავარმა მწვრთნელმა კახა ჩხეტიანმა რუსთავთან გამარჯვების შემდეგ განაცხადა, რომ მისი ფეხბურთელები ნამდვილი გმირები არიან, რადგან ფინანსური პრობლემების მიუხედავად, მოედანზე გამოდიან და ბოლომდე იბრძვიან:

– თამაში კარგად დავიწყეთ, მაგრამ შემდეგ უხასიათობა დაგვეტყო და გოლიც გავუშვით. საბოლოოდ ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ და ეს მიხარია. ამჟამად გუნდში ცუდი მდგომარეობაა, მაგრამ ბიჭები ვაჟკაცურად იქცევიან და ამისთვის მათ მადლობას ვეუბნები.

ფინანსური კრიზისის გამო ტორპედოს ფეხბურთელებს რამდენიმე თვეა, ხელფასი არ აუღიათ.

## კრისტიან ერიქსენმა შესაძლოა ზაფხულში ტოტენჰემი დატოვოს

ტოტენჰემის დანიელმა ნახევარმცველმა კრისტიან ერიქსენმა ზაფხულში შესაძლოა გუნდი დატოვოს. ამაზე აქტიურად იწერება ინგლისურ პრესაში. თვითონ ერიქსენმაც ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა, რომ ის ახალი გამოწვევების მოლოდინშია.

ერიქსენის შეძენა ერთი პერიოდი რეალს სურდა, თუმცა არჩევანი ედენ აზარზე გააკეთეს, მაგრამ შესაძლოა მადრიდელებმა არც ერიქსენზე თქვან უარი.

დანიელი ნახევარმცველის ტრანსფერი ნებისმიერ გუნდს მინიმუმ 100 მილიონი ევრო დაუჯდება.

## მხითარიანი აზერბაიჯანში არ ჩავა და ევროპის ლიგის ფინალს გამოტოვებს



სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებული დაძაბული პოლიტიკური ფონის გამო, არსენალის სომეხმა ფეხბურთელმა ჰენრიხ მხითარიანმა ბაქოში ჩასვლაზე უარი თქვა და, შესაბამისად, ის ევროპის ლიგის ფინალს გამოტოვებს, რომელშიც ერთმანეთს არსენალი და ჩელსი დაუპირისპირდებიან.

მხითარიანის თქმით, ამ გადაწყვეტილების მიღება იოლი არ იყო:

– ეს ჩემთვის ძალიან მტკივნეულია, რადგან თანაგუნდელებს ვერ დავეხმარები, მაგრამ ბევრი ფიქრის შემდეგ ასეთი გადაწყვეტილება მივიღე.

## ერნესტო ვალვერდე: „გრიზმანთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ“

ბარსელონას მთავარმა მწვრთნელმა ერნესტო ვალვერდემ ბარსელონას ტრანსფერებზე ისაუბრა და თქვა, რომ გუნდი რამდენიმე ფეხბურთელთან აწარმოებს მოლაპარაკებებს და მათ შორის ანტუან გრიზმანიც არის:

– დიახ, ჩვენ გვაქვს კონტაქტი გრიზმანთან და სხვა ფეხბურთელებთან. ზაფხულში ბარსელონა აუცილებლად გაძლიერდება. ამჟამად ჩვენ მხოლოდ თასის ფინალზე ვფიქრობთ ვალენსიასთან და ტრანსფერები მხოლოდ ამ თამაშის შემდეგ იქნება აქტუალური. ბარსელონას და ვალენსიას დაპირისპირება 25 მაისს გაიმართება.

## მარკუს რეშფორდი მანჩესტერ იუნაიტედში რჩება

მანჩესტერ იუნაიტედის ახალგაზრდა ფორვარდი მარკუს რეშფორდი გუნდში რჩება და მალე ახალ კონტრაქტს მოაწერს ხელს.



ახალი კონტრაქტის მიხედვით, რეშფორდის ანაზღაურება გაიზრდება და ის კვირაში 300 ათას ფუნტ სტერლინგს მიიღებს.

ბოლო პერიოდში ხშირი იყო საუბრები, რომ ზაფხულში რეშფორდი მანჩესტერს დატოვებდა, მაგრამ ასე არ მოხდება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ნავსადგური, ბალნეოლოგიური კურორტი ბულგარეთში; 2. კარნავალის დროს გათამაშებული მომენტალური ლატარია; 3. იტალიის ეროვნული გმირი; 4. საჭმელი სოკო; 5. იტალიის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 7. მდინარე ფლორენციაში; 11. კახეთის კულტურულ-ადმინისტრაციული ცენტრი მეათე საუკუნეში; 13. მოხეტიალე მომღერალი-მუსიკოსი ძველ საბერძნეთში; 15. ბალნეოლოგიური კურორტი რაჭაში; 16. სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში; 18. მღრღნელი ჭია-მატლის საერთო სახელწოდება ძველად საქართველოში; 19. მანძილის საზომი ერთეული ინგლისურ მეტრულ სისტემაში.

**თარაზულად:** 6. მილიონის ძველი ქართული სახელწოდება; 8. სარეკლამო ლოზუნგი; 9. ბრიტანეთის საინფორმაციო სააგენტო; 10. ლაპარაკში, ქცევაში გამოხატული დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე; 12. თეთრყუძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 14. ერბოში ჩახარშული ყველისგან მომზადებული აჭარული კერძი; 17. ვინმეს სახელის გასატეხი ცნობების, ჭორების გამოქვეყნება პრესაში; 20. ფრანგი მოდელიერი; 21. ფულის ერთეული უკრაინაში; 22. თამაზ მელიავას კინოკომედია; 23. რაიონული ცენტრი სამეგრელოში.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*


**ჩან ჩან ვან + მა ინ ლონ**

გამოიყენება ბუასილის სამკურნალოდ






**ძიან პი ვან**

კუჭ-ნაწლავი, უმადობა იმუნიტეტი




**გუი ფუ დი ჰუანგ ვან + ცუნ ცაო**

აუმჯობესებს პოტენციას







ჩვენ გვჭირდება პიროვნება, რომელიც წამლების რეალიზაციას შეძლებს

**ბოაი** ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ვაკე, ილია ჭავჭავაძის №15
მობ. ტელ: 568-73-73-44
www.facebook.com/Boaigeorgia/